# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

პარასკევი, 24 ნოემბერი. 2023 წ. №131 (9663) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცურება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## თამაზ გინტურის მკვლელობის შემდეგ კირბალში შიში გაძლიერდა



# ლომისის კარს არავის ავაჭედვინებთ!

5

მეუფე შიო მუჯირი:

# დღეს ქრისტიანებს ფიზიკურად არ აწამებენ, მაგრამ დევნა, ცილისწამება, შეურაცხყოფა გრძელდება!



2

რომის პაპი ფრანცისკე:

# ჩვენ გავედით ომების მიღმა, ეს არ არის ომი, ეს არის ტერორიზმი!



კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელის თქმით, ის შეხვდა დელეგაციას ისრაელიდან, რომელთა ნათესავებიც მძევლად ჰყავთ ღაზის სექტორში და პალესტინელების დელეგაციას, რომლებსაც ნათესავები ჰყავთ ისრაელის ციხეებში.

**„ისინი ძალიან იტანჯებიან და გავიგე, როგორ იტანჯება ორივე მხარე. ეს არის ის, რაც ომების დროს ხდება, მაგრამ აქ ჩვენ გავედით ომის ფარგლებს გარეთ. ეს არ არის ომი. ეს არის ტერორიზმი. გთხოვთ, მოდით, წავიდეთ წინ მშვიდობისთვის. ილოცეთ მშვიდობისთვის“,** – განაცხადა რომის პაპმა.

დიმიტრი ხუნდაძე:



# „ნაცების“ მხრიდან ამ თარიღის საზეიმოდ ქცევა მოსახლეობის უდიდესი ნაწილის შეურაცხყოფაა!..

2

## რას ითვალისწინებს „დეოლიგარქიზაციის“ შესახებ მთავრობის სამოქმედო გეგმა

3

# ახალი „პარაგრაფი“ თბილისის გულში...

**ირაკლი ღარიბაშვილი: მარიოტის საერთაშორისო ქსელის უმაღლესი კატეგორიის ბრენდის – LUXURY COLLECTION – შემოსვლით ჩვენს ქვეყანაში და, ზოგადად, საქართველოს სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში ახალი პარაგრაფი იწყება**

– ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სასტუმრო „პარაგრაფ თბილისის“ საზეიმო გახსნის ღონისძიებაზე განაცხადა.




იხ. 6 გვ.



### მეუფე შიო მუჯირი:

# დღეს ქრისტიანებს ფიზიკურად არ აწამებენ, მაგრამ დევნა, ცილისწამება, შეურაცხყოფა გრძელდება!



როგორც მეუფე შიომ აღნიშნა, „ქრისტიანებიც უნდა იყვნენ მოწამეები, რადგან მათ უნდა მოაკვდინონ თავიანთი ვნებები, უარყონ და შეეწინააღმდეგონ თავიანთ დაცემულ ვნება-სურვილებს".

**„ჩვენ გვტანჯავს ჩვენი სულიერი, შინაგანი ვნებები, რომლებიც მომდინარეობს ჩვენი სხეულიდან, ამ წუთისოფლიდან და ჩვენი უხილავი მტრისგან, დემონებისგან. ამიტომაც წმინდა მამები, ისეთი დიდი მამა, როგორიც იყო ღირსი სვიმეონი, ახალი ღვთისმეტყველი ამბობს, რომ ჩვენ ყოველდღეც კი შეგვიძლია, მოწამებრივი ღვაწლი აღვასრულოთ და მოწამებრივი გვირგვინი დავიდგათ, ქრისტესთვის ვევნოთ, თუკი ჩვენ შევებრძოლებით ჩვენს ვნებებს, სულიერ მტერს – ეშმაკს და ჩვენ დაცემულ ბუნებას. ასეთ საოცარ სიტყვებს ამბობს ღირსი სვიმეონი და ჩვენ განა ჯეროვნად ვებრძვით ჩვენს ვნებებს?**

**ხომ არ გვყავს ჩვენც ისეთი კერპები, რომელსაც ვემსახურებით, ვემორჩილებით და ამით უარვყოფთ ქრისტეს, ვღალატობთ მას? სამწუხაროდ, ასეთი კერპები ჩვენ გვყავს, ეს არის ჩვენი ვნებები. გვაქვს ასევე კერპმსახურებაც, ეს არის ამ ვნებების დაკმაყოფილება და წახალისება. რა ვნებებია ეს და რა ცოდვებია, ეს არის ნაყროვანება, სიმთვრალე, ნარკომანია, სიძვის ვნება, ვერცხლის მოყვარება, სიხარბე, აზარტული თამაშები, გაღიზიანება, მრისხანება, სიძულვილი, განკითხვა, სევდა და მოწყენება, ამპარტავნება, სიცრუე და ა.შ. თუ ეს ვნებები და ცოდვები ადამიანის ჩვევაში გადავა, მაშინ ისინი იქცევა ჩვენი სულის კერპებად. მათი მსახურებითა და მორჩილებით ვხდებით კერპმსახურები, რადგან არსებობს ასეთი სახის კერპთმსახურება, შეიძლება ითქვას, ამას ჩვენ ყველგან ვაწყდებით და ბატონობს, ასე ვთქვათ, ცოდვის მსახურება, ამიტომ ქრისტიანებიც უნდა იყვნენ მოწამეები დღეს, რადგან მათ უნდა მოაკვდინონ თავიანთი ვნებები, უარყონ და შეეწინააღმდეგონ თავიანთ დაცემულ ვნება-სურვილებს"**, – განაცხადა მეუფე შიომ., სიონის საკათედრო ტაძარში ქადაგებისას.

# დიმიტრი ხუნდაძე: „ნაცმოძრაობის" მხრიდან ამ თარიღის საზეიმოდ ქცევა მოსახლეობის უდიდესი ნაწილის შეურაცხყოფაა!..



**20 წლისთავზე სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი უამრავი დანაშაულისთვის, ნაციონალურ მოძრაობას შეგვიძლია ვუსურვოთ ერთადერთი – პასუხი აგონ ქართველი ხალხის და ქვეყნის წინაშე!**, – ასე ეხმაურება „ხალხის ძალის" ერთ-ერთი ლიდერი დიმიტრი ხუნდაძე „ნაციონალური მოძრაობის" მიერ მანიფესტის გამოქვეყნებას და 2003 წლის რევოლუციის წლისთავის აღნიშვნას. ხუნდაძის თქმით, „ნაციონალურმა მოძრაობამ" მის მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის ქვეყნის წინაშე პასუხი უნდა აგოს.

**„პოლიტიკურად გაკოტრებული მიხეილ სააკაშვილი და მისი „ნაციონალური მოძრაობა" 20 წლისთავზე მანიფესტს გამოსცემს, რომელზედაც ხელის მოწერისკენ მოუწოდებს მთელს ოპოზიციურ სპექტრს. ოპოზიციას არ სჭირდება ოფიციალური ხელის მოწერა, ისინი ისედაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები არიან პრეზიდენტის ჩათვლით. რაც შეეხება თავად მანიფესტს, ეს ქართველი ხალხის კიდევ ერთი დაცინვაა სისხლიანი რეჟიმის დამნაშავე პრეზიდენტისგან.**

**ვარდების რევოლუციამ რომ საზოგადოების მოლოდინი ვერ გაამართლა და საფრთხედ იქცა, ამიტომ იყო 2012 წლის არჩევნებში ამომრჩევლის მკაცრი პასუხი. დღეს კი მათი მხრიდან ამ თარიღის საზეიმოდ ქცევა მოსახლეობის უდიდესი ნაწილის შეურაცხყოფა და ამავე დროს, მტკიცებულებაა იმისა, რომ ნაცმოძრაობა ამ მძიმე წარსულს არ ნანობს და უარესის ჟინი აქვთ. მთელი ამ წლების განმავლობაში მათგან არ გაგვიგია სინანული ქუჩაში ჩაცხრილული ბიჭების გამო, ციხეებში გაუპატიურებული და ნაწამები პატიმრების გამო, დაკარგული ტერიტორიების და ბრძოლის ველზე მიტოვებული დაღუპული გმირების გამო, ბიუჯეტის გაძარცვის და ხალხის ფულის მიტაცების გამო, თავისუფალი სიტყვის ჩახშობის და მიტინგების დარბევის გამო და კიდევ რამდენი ჩამოვთვალო...**

**20 წლის თავზე სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი უამრავი დანაშაულისთვის, ნაციონალურ მოძრაობას შეგვიძლია ვუსურვოთ ერთადერთი – პასუხი აგონ ქართველი ხალხის და ქვეყნის წინაშე! სხვა შემთხვევაში სამართალზე დაფუძნებულ სახელმწიფოს ვერ მივიღებთ"**, – წერს ხუნდაძე.

# სახელმწიფო ონკოლოგიურ პაციენტებს მკურნალობის კურსს სრულად დაუფინანსებს!

**ჯანდაცვის სამინისტრომ პირდაპირი შესყიდვის გზით, ინოვაციური ონკოლოგიური მედიკამენტების შესყიდვის პროცესი დაიწყო. ამ წესით, სახელმწიფო ძვირადღირებულ მედიკამენტებს სპეციალურ, მნიშვნელოვნად დაბალ ფასად შეიძენს და ონკოლოგიურ პაციენტთა სრულ საჭიროებებს დაფარავს.**

ჯანდაცვის სამინისტროსა და მედიკამენტების მწარმოებელ კომპანია **„როშეს"** შორის ხელშეკრულება გაფორმდა. დოკუმენტის თანახმად, სახელმწიფო, შვეიცარიული კომპანიისგან სხვადასხვა დასახელების პრეპარატს პირდაპირი წესით, მართული შესვლის შეთანხმების (MEA) პრინციპების გათვალისწინებით განხორციელდა. ჯანდაცვის მინისტრის, **ზურაბ აზარაშვილის** განცხადებით, **მომავალი წლიდან სახელმწიფო ონკოლოგიურ პაციენტს მკურნალობის კურსს სრულად დაუფინანსებს.**



მედიკამენტების, უშუალოდ მწარმოებლებისგან შესყიდვის შედეგად, სახელმწიფოს ეძლევა შესაძლებლობა მეტ პაციენტს დაუფინანსოს მკურნალობა და მკურნალობის კურსის გათვალისწინებით, გაუზარდოს დაფინანსებული წამლების რაოდენობა. ჯანდაცვის სამინისტრო, მსოფლიოს იმ წამყვან ფარმაცევტულ კომპანიებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს, რომელთა წარმოებული მედიკამენტებიც საქართველოში ფართოდ გამოიყენება და სახელმწიფო დანახარჯების ყველაზე დიდი წილი მოდის.

მედიკამენტების უშუალოდ მწარმოებლისგან შესყიდვა, წამლებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული რეფორმების ნაწილია. მედიკამენტებზე ჯიბიდან გადახდების შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2022 წელს თურქული ფარმაცევტული ბაზარი გაიხსნა, დაინერგა ელექტრონული რეცეპტების სისტემა, 3200-ზე მეტ მედიკამენტზე კი ფასის ზედა ზღვარი დაწესდა.

# ამერიკელებმა ზელენსკის კიევში ჩაუტარეს ინსტრუქტაჟი! ერმაკი კი ვაშინგტონში ჩაიყვანეს!

**რუსეთ-უკრაინის ომის პარალელურად უკრაინა სამოქალაქო დაპირისპირების წინაშე დგას. მოქმედი პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის მოწინააღმდეგეთა ბანაკი ფართოვდება და ეს, ძირითადად, სამხედროები არიან. მიუხედავად მოქმედი კონსტიტუციისა, რომელიც საომარ მოქმედებაში მყოფ ქვეყანაში არჩევნების ჩატარებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს, სულ უფრო და უფრო აქტიურად კეთდება განცხადება საპრეზიდენტო არჩევნებზე.**

ერთ-ერთი, ვინც ღიად განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება, უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი **ალექსეი არესტოვიჩია,** რომელმაც განაცხადა, რომ სოციალურ ქსელში პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამხედრო და სხვა რეფორმებთან დაკავშირებით მის მიერ გამოქვეყნებული წინადადებები მისი საარჩევნო პროგრამაა.

ზელენსკის მთავარი კონკურენტი უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, გენერალი **ვალერი ზალუჟნი** იქნება, რომელსაც ბრიტანეთი ლობირებს. აღსანიშნავია, რომ გამოცემა „ეკონომისტთან" ინტერვიუში, უკრაინის შეიარაღებული ძალების სარდალმა განაცხადა, რომ ფრონტზე სიტუაცია ჩიხში შევიდა. მან განმარტა, რომ არც ერთ მხარეს არ შეუძლია წინსვლა, რადგან ტექნოლოგიურად ერთნაირად არიან აღჭურვილნი.

საპასუხოდ **ზელენსკიმ** თქვა: **„თუ თქვენ ომს მართავთ იმის გათვალისწინებით, რომ ხვალ პოლიტიკით ან არჩევნებით დაკავდებით, მაშინ სიტყვებით და წინა ხაზზე თქვენ მოქმედებთ, როგორც პოლიტიკოსი და არა – როგორც სამხედრო. მიმაჩნია, რომ ეს დიდი შეცდომაა. ასეთ შემთხვევაში სამხედროებმა, შესაძლოა, დაუმორჩილებლობა გამოავლინონ, ეს კი უკრაინის ერთიანობას საფრთხეს შეუქმნის. ამას არ მივყავართ ერის ერთიანობისკენ".**

# სად უფრო აირია მონასტერი – კიევსა თუ მოსკოვში?!

## უკრაინა სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზეა



გარდა ამისა, ზელენსკი აცხადებს, რომ არსებობს პრეზიდენტის შეცვლის „მაიდან-3"-ის გეგმა. კერძოდ, ვოლოდიმირ ზელენსკი აცხადებს, რომ რუსეთს 2023 წლის ბოლომდე მისი უკრაინის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება სურს, რისთვისაც დესტაბილიზაციის გეგმა, კოდური სახელწოდებით „მაიდან-3", არსებობს.

**„არსებობს პრეზიდენტის შეცვლის „მაიდან-3"-ის გეგმა, შესაძლოა არა მკვლელობით, არამედ ხელისუფლების შეცვლის გზით. ისინი გამოიყენებენ ნებისმიერ იარაღს. იდეა არის, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე ახალი ოპერაცია ჩაატარონ, რომელსაც სახელიც კი აქვს"**, – განაცხადა **ვოლოდიმირ ზელენსკიმ.**

პარალელებს თუ გავავლებთ, უკრაინის პრეზიდენტის ეს განცხადება ძალიან გავს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, **მიხეილ სააკაშვილის** განცხადებებს, როგორ უპირებდა მას პუტინი „ერთი ადგილით დაკიდებას", რომ დაგეგმილი ჰქონდა მისი ლიკვიდაცია და ა.შ. დღეს უკვე პატიმარი სააკაშვილი აცხადებს, რომ მისი დაპატიმრება სწორედ პუტინის შეკვეთით მოხდა და მისი პირადი პატიმარია.

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** განცხადებით, ზელენსკის მეთოდიც გასაგებია, რომელიც სააკაშვილის მსგავსად ცდილობს ოპოზიციის არსებობა და მისი უკმაყოფილება მიაწეროს რუსეთს და რუსეთით ახსნას ის, რომ მისით ვიღაცა არის უკმაყოფილო, თორემ თვითონ არანაირი ხარვეზი მას, როგორც პოლიტიკოსს არ აქვს.

**„აი, ასეთი ფორმულა აქვს ზელენსკის, რაც უკვე დიდი ხანია აქვს სააკაშვილს. ორივეს სიტუაციამ უბიძგა ამისკენ, რახან მტრის ხატი მკაფიოდ ჩამოყალიბებული არის – რუსეთი და პუტინი. რახან პუტინიც ყოველმხრივ ამართლებს მტრის ხატის იარლიყს, ბუნებრივია, ამ მოდელს გამოიყენებს როგორც ერთი, ისე მეორე. ძნელი სათქმელია, რუსეთის, ანუ პუტინის გეგმებში რა შედის, რადგან ბევრ რამეს არალოგიკურს აკეთებს, მაგრამ მეორე მხრივ, სტაგნაცია მოხდა. ეს იმდენად მკაფიოა, რომ ზოგიერ-**

# რას ითვალისწინებს „დეოლიგარქიზაციის“ შესახებ მთავრობის სამოქმედო გეგმა?!




**„დეოლიგარქიზაციის“ შესახებ მთავრობის სამოქმედო გეგმა გამოქვეყნდა. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, შემუშავდა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტერესების გადაჭარბებული გავლენის თავიდან აცილების სამოქმედო გეგმა, რომელიც შეესაბამება საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებასა და 2021-2027 წლების ასოცირების დღის წესრიგში აღნიშნულ მიზნებს და განსაზღვრავს სისტემური მიდგომისთვის საჭირო ღონისძიებათა ფარგლებს.**

## რას ითვალისწინებს „დეოლიგარქიზაციის“ შესახებ მთავრობის სამოქმედო გეგმა

დოკუმენტი 7 მიმართულებით ითვალისწინებს ასეთი ნაბიჯების გადადგმას:

- **კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა (კორუფციის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება და კორუფციის პრევენცია, ჰკუსნ-ს რეკომენდაციების შესრულება.).**
- **საჯარო შესყიდვები („საჯარო შესყიდვების გამჭვირვალობის და ამ სფეროში ანგარიშვალდებულების შენარჩუნება“).**
- **კონკურენციის პოლიტიკა („ეფექტიანი კონკურენციის პოლიტიკის ჩამოყალიბება და იმპლემენტაცია“).**
- **მართლმსაჯულება.**
- **ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა („ფულის გათეთრების წინააღმდეგ პოლიტიკის შემდგომი გაძლიერება, მათ შორის, იურიდიული პირების და ბენეფიციარი მესაკუთრეების თაობაზე ინფორმაციის გამჭვირვალობა, ასევე, ბენეფიციარი მესაკუთრეების თაობაზე ინფორმაციაზე დროული და ეფექტიანი წვდომა, MONEYVAL-ის და FATF-ის რეკომენდაციების შესაბამისად“).**
- **პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი.**
- **მედია („მედიაპლურალიზმის და მედიამფლობელობის გამჭვირვალობის გაძლიერება“).**

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ამ სამოქმედო გეგმაში აღიარებულია პოტენციური პრობლემების ურთიერთდაკავშირებული ხასიათი, რაც იძლევა სამართლის სხვადასხვა სფეროსა და ამ სფეროების საქმიანობის განმახორციელებელ უწყებებს შორის ურთიერთკავშირის დამყარების შესაძლებლობას.

**„უფრო მეტი ეფექტიანობისთვის, ის ასევე საშუალებას აძლევს დაინტერესებულ მხარეებს ფოკუსირება მოახდინონ საკუთარ რესურსებზე და მიმართონ ისინი განსაკუთრებით მოწყვლადი სფეროებისკენ. ქმედებები, რომლებიც მიმართულია ინტერესების გადაჭარბებული გავლენის თავიდან აცილებისკენ, ისეთი ქმედებებია, რომლებიც ხელს უწყობენ ოლიგარქიასთან დაკავშირებულ ფენომენთა იდენტიფიცირებას, მათთან დაპირისპირებას და პრევენციას.**

**პირველი კატეგორიის ღონისძიებები ფოკუსირებულია შესაბამისი ორგანოების ინსტიტუციური სტრუქტურისა და შესაძლებლობების გაძლიერებაზე, რათა მათ შეძლონ თავიანთი საქმიანობის განხორციელება დამოუკიდებლად, საიმედოდ, კოორდინირებულად და პროფესიონალურად. მეორე კატეგორიის ღონისძიებები ფოკუსირებულია აქტივობებზე, რომლებიც პირებს ან პირთა ჯგუფებს ხელს უშლის და/ან ზღუდავს საკუთარი სარგებლობისთვის/ბოროტად გამოიყენონ გადაჭარბებული უფლებამოსილება ან თავიდან აიცილონ ასეთი უფლებამოსილების კონცენტრაცია საქართველოს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს ხელს შეუწყობს კონკურენციის, შესყიდვების, მედიის, არჩევნების და სხვა სფეროებში პროცესების მეტ სიჯანსაღეს და სიძლიერეს, უფრო მეტ საიმედოობას, სადაც გათვალისწინებული იქნება ევროპული სტანდარტები; ასევე ხელს შეუწყობს საქართველოს მოქალაქეების არჩევანისა და ინტერესების უკეთესად ასახვას.**

**სხვა კატეგორიის ღონისძიებები ფოკუსირებულია მეტი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფაზე სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში, რათა სისტემა იყოს უფრო ინკლუზიური და ადაპტირებადი და ამავდროულად რჩებოდეს დემოკრატიული კონტროლის ქვეშ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შემდეგი შვიდი სფეროს ყოველი აქტივობა ხელს უწყობს განმახორციელებელი უწყების გაძლიერების ერთ ან რამდენიმე ამოცანას; არსებული კანონმდებლობის დახვეწას; სფეროს უკეთ რეგულირებას ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, ან სისტემის სხვაგვარად გაძლიერებას, რათა მოხდეს საქართველოს სოციალურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტერესების გადაჭარბებული გავლენის თავიდან აცილება“**, – აღნიშნულია დოკუმენტში.

---

## უკრაინაში შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს მინიმუმ ოთხი კონკრეტული ძალა, რომელიც, ფაქტობრივად, დაკავებულია წინასაარჩევნო სამზადისით. კიევში ზელენსკისთან კულუარული მოლაპარაკების წარმართვის მიზნით ჩავიდა ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი. პარალელურად, ამერიკაში დაიბარეს ზელენსკის ოფისის ხელმძღვანელი ანდრეი ერ-

**თებმა რუსეთის გამარჯვებაზე დაიწყეს ლაპარაკი. რუსეთის მარცხად ითვლებოდა რუსული ძალების მიყვანა საზღვრამდე და რადგან რუსული სამხედრო მანქანა ვერ გადაიყვანეს საზღვრის იქით, ალაპარაკდნენ იმაზე, რომ რუსეთმა თავისი მინიმუმი მიიღო. ეს არის სულ ბოლო პერიოდის რეაქციები ფრონტის მიმართ. ასეთი სიტუაცია თუ არის ფრონტზე, ალბათ, რუსეთის ინტერესში არ უნდა იყოს ზელენსკის დამარცხება. სავარაუდოა, რომ ზელენსკის გაყვანა პოლიტიკიდან თვითონ უკრაინული დაჯგუფებების სურვილი უნდა იყოს და ამას გვაფიქრებინებს ისეთი ფიგურის კრიტიკა, როგორიც არის ზალუჟნი“**, – აცხადებს **საყვარელიძე.**

როგორც პოლიტოლოგი აცხადებს, ბოლო მოვლენები, ზალუჟნის კრიტიკული განცხადებები და არისტოვიჩის გააქტიურება, რომელიც ხშირად იცვლიდა პოზიციას, უკრაინა სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე დგას.

**„დღეს, მხარდამჭერების სახით რამე ძალა არის თუ არა არესტოვიჩის უკან, მე არ ვიცი. თავისთავად, უკმაყოფილება რომ უნდა არსებობდეს უკრაინულ პოლიტიკურ ელიტაში, ეს თითქმის უდავოდ მიმაჩნია. ზელენსკი ჯერ არ დამარცხებულა, ამ სიტყვის სრული გაგებით, მაგრამ როცა პოლიტიკოსი აცხადებს რაღაცა მიზანს, დავუშვათ კონტრშეტევაზე გადასვლას და ამ მიზანს ვერ აღწევს, ეს უკვე მარცხია. მარცხს არ გაპატიებენ ის ადამიანები, რომლებიც შენზე არიან დამოკიდებული“**, – აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **რამაზ საყვარელიძემ.**

„სალუხის ძალის“ წევრის, ანალიტიკოს **დავით ქართველიშვილის** განცხადებით, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს მინიმუმ ოთხი კონკრეტული ძალა, რომელიც, ფაქტობრივად, დაკავებულია წინასაარჩევნო სამზადისით. მისი თქმით, კიევში ზელენსკისთან კულუარული მოლაპარაკების წარმართვის მიზნით ჩავიდა ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი. პარალელურად, ამერიკაში დაიბარეს ზელენსკის ოფისის ხელმძღვანელი **ანდრეი ერმაკი**.

**„ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი. ანუ, რაღაცა ძალამ აშშ-ის მხრიდან, ამ ორი, თითქოსდა კოლეგის და მეკავშირის განცალკავება განიზრახა იმისთვის, რომ მათთვის ცალ-ცალკე რაღაცა ინქსტრუქტაჟი ჩაეტარებინათ, ცალკე კიევში და ცალკე ვაშინგტონში. პარალელურად, ჩვენ კარგად გვახსოვს უკრაინის გენერალიტეტი გენერალ ზალუჟნის მეთაურობით, ესენი ბრიტანეთის ლობირებით სარგებლობენ.**

**ზალუჟნის, როგორც ზელენსკის პოტენციური შემცვლელის კანდიდატურის შესახებ მეორე წელია გვესმის. გახსოვთ, რომ ამას წინათ ზალუჟნიმ მკვეთრი განცხადებები გააკეთა ზელენსკის მისამართით, რასაც მოჰყვა ტერორისტული აქტი. როგორც იძახიან, ზალუჟნის დაშინების მიზნით, საკუთარ დაბადების დღეზე ააფეთქეს ზალუჟნის თანაშემწე“**, – ამბობს **ქართველიშვილი.**

როგორც ანალიტიკოსი აცხადებს, ცალკე არის არისტოვიჩი, რომელიც ასევე არ ზღუდავს საკუთარ თავს, უარყოფითი ეპითეტებით თავისი ყოფილი თანაპარტიელების, თუ კოლეგების მისამართით და რომელიც აქტიურად აპიარებს საკუთარი თავის, როგორც მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების ერთ-ერთი კანდიდატის დასახელებას.

**„ამიტომ, დღეს, ამ წუთას რაიმე კონკრეტული პროგნოზების გაკეთება, ალბათ, ნაადრევი იქნებოდა. თუმცა, ის, რაც მე ჩამოვთვალე, აშკარად ჯდება იმ კონფიგურაციაში, რომ სადღაც, შეიძლება თვის ბოლომდეც კი უფრო გამოაშკარავდეს სამომავლო საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებული რაღაცა დეტალები – შედგება ეს არჩევნები, არ შედგება, როგორ იქნება საქმე, დაველოდოთ!..**

**თამთა ქარჩავა**

---



## ვლადიმერ პუტინი: უნდა ვიფიქროთ იმაზე, როგორ შევაჩეროთ ეს ტრაგედია...

**„ზოგიერთმა კოლეგამ გამოსვლებში განაცხადა, რომ შოკირებულია უკრაინაში რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიით. დიახ, რა თქმა უნდა, სამხედრო მოქმედებები ყოველთვის ტრაგიკულია. რა თქმა უნდა, უნდა ვიფიქროთ იმაზე, როგორ შევაჩეროთ ეს „ტრაგედია“. სხვათა შორის, რუსეთს არასოდეს უთქვამს უარი უკრაინასთან სამშვიდობო მოლაპარაკებებზე“**, – განაცხადა პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტის თქმით, არა რუსეთმა, არამედ უკრაინამ განაცხადა საჯაროდ, რომ ტოვებდა მოლაპარაკების პროცესს.

# ვის შეეხება სამშენებლო ამნისტია?..

## როდიდან ამოქმედდება მასშტაბური პროექტი?



**სამშენებლო ამნისტიის პროექტზე მუშაობა მთავრობის სხდომაზე იუსტიციის მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილმა დაავალა. მფლობელებს აღარ დასჭირდებათ ლეგალიზების პროცედურის გავლა და ამნისტიის შედეგად მესაკუთრეები გახდებიან.**

**ამნისტიის პროექტი განსახილველად საკანონმდებლო ორგანოს უახლოეს პერიოდში გადაეგზავნება.** ოპოზიცია მხარდაჭერის შესახებ გადაწყვეტილებას, დოკუმენტის დეტალურად გაცნობის შემდეგ გეგმავს. მმართველ პარტიაში კი ამნისტიის ჰუმანურ დანიშნულებაზე ამახვილებენ ყურადღებას და მისი მიღების საჭიროებაზე საუბრობენ.

ერთი მხრივ, მომავალში აღმოიფხვრება უკანონო სახლების მშენებლობის პრაქტიკა; მეორე მხრივ კი, მოქალაქეები, რომელთაც აქვთ ინდივიდუალური სახლები სოფლად ან ქალაქად, რომლებზედაც არ გაცემულა სამშენებლო დოკუმენტაცია, აღარ იქნებიან ვალდებული, გაიარონ ლეგალიზაციის რთული და ხარჯიანი პროცედურა.

მთავრობის პრესსამსახურის ცნობით, პროექტს იუსტიციის მინისტრი მთავრობის სხდომაზე უმოკლეს ვადაში წარადგენს.

ამნისტიის ძალაში შესვლის შემდეგ, იუსტიციის მინისტრი უკანონო მშენებლობების პრობლემის მოგვარებასაც ელოდება. **რატი ბრეგაძე** ამბობს, რომ ამ პრობლემის გადაჭრა ინდივიდუალური სახლების კანონიერ მშენებლობასაც შეუწყობს ხელს.

მინისტრის ინფორმაციით, სამშენებლო ამნისტია გავრცელდება 2024 წლის 1 იანვრამდე ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე ინდივიდუალურ შენობა-ნაგებობაზე, რომელიც სამშენებლო დოკუმენტაციის გარეშეა. ამნისტია მილიონზე მეტ ადამიანს შეეხება.

**„ყველასთვის ცნობილია, რომ საქართველოში მასობრივად არის აშენებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, რომელზეც არ გაცემულა მშენებლობის ნებართვა ან არ არსებობს სამშენებლო დოკუმენტაცია. სწორედ ამიტომ, საჯარო რეესტრის ახალ ამონაწერებში მითითებულია, რომ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია შენობა-ნაგებობები, სამშენებლო დოკუმენტაციის გარეშე, რაც იმას ნიშნავს, რომ საკუთრების უფლება ხარვეზიანია და შესაბამისად, ეს ობიექტები ვერ იქნება სრული მოცულობით ჩაშვებული ეკონომიკურ ბრუნვაში.**

**გარდა ამისა, ამ პრობლემას ასევე უკავშირდება დაჯარიმების ანდა დემონტაჟის რისკი, რაც მილიონზე მეტ ადამიანს ეხება. საკუთრების უფლების სრული მასშტაბის უზრუნველსაყოფად და ასევე, უკანონო მშენებლობიდან მომდინარე რისკების ერთხელ და სამუდამოდ აღმოსაფხვრელად, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით ჩვენ შევიმუშავეთ ამნისტიის პროექტი, რაც პარლამენტს წარედგინება. ის გავრცელდება 2024 წლის 1 იანვრამდე ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე, რომელიც არის სამშენებლო დოკუმენტაციის გარეშე და ესენი უნდა იყოს ინდივიდუალურ საცხოვრებელი სახლები. ასევე, ასეთ სახლებში მცხოვრებ პირებს აღარ დასჭირდებათ ლეგალიზების კომპლექსური პროცედურის გავლა და მათ აღარ ექნებათ დაჯარიმების ანდა დემონტაჟის რისკი.**

**ისინი სრულად ისარგებლებენ საკუთრების უფლებით, რაც კონსტიტუციით გათვალისწინებულია. რა თქმა უნდა, ეს იქნება ნათელი მაგალითი იმის, როგორ უწყობს ხელს საქართველოს ხელისუფლება საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს საკუთარი უფლებების რეალიზებაში.**

**ინიციატივა შეეხება მილიონზე მეტ ადამიანს. ეს ინიციატივა გავრცელდება მხოლოდ იმ ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებზე, რომელიც აშენებული იქნება 2024 წლის 1 იანვრამდე. ის ინდივიდუალური სახლები, რომლებიც აშენდება შემდგომ, აღარ დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში და შესაბამისად, ვეღარ ჩაეშვება ეკონომიკურ ბრუნვაში.**

**ეს ინიციატივა არის არა მხოლოდ ამნისტია, არამედ ეხმიანება უკანონო მშენებლობების პრობლემას. ვიმედოვნებთ, რომ ამ პრობლემის აღმოფხვრის შემდგომ დასრულდება ყველა ის სირთულე, რაც თან ახლავს უკანონო მშენებლობებს და 2024 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ნებისმიერი ინდივიდუალური სახლი აშენდება კანონიერად“,** — განაცხადა რატი ბრეგაძემ.

**ბექა დანელია**

# რიკოთის გზაზე არსებული გვირაბის პარალელურად ახალი 1 800-მეტრიანი გვირაბი გაიჭრა!



**აღმოსავლეთ-დასავლეთის საერთაშორისო მაგისტრალური გზის (E60-ის) შემადგენელ რიკოთის საუღელტეხილო გზაზე არსებული გვირაბის პარალელურად ახალი გვირაბი გაიჭრა.**

ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთზე გაჭრილი ახალი გვირაბის სიგრძე 1 800 მეტრია და დღეის მდგომარეობით, ყველაზე გრძელი გვირაბია ქვეყანაში. ამავე მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა გადაერთო ახალ, 2.4 კმ-იან გზაზე. ძველ საგზაო მონაკვეთზე კი, გაგრძელდება პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები.

მინისტრის თქმით, ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთზე პროექტით გათვალისწინებული ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობს 33 ფერდზე. ასევე, დაწყებულია სატენდერო პროცედურები 149-ე კმ-ზე, მიმდინარე წლის დასაწყისში, მონიტორგინის შედეგად გამოვლენილი პოტენციური მეწყრული უბნის სტაბილიზაციის სამუშაოების ჩასატარებლად.

**„149-ე კილომეტრზე, წლის დასაწყისში, მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილი იქნა მეწყრის პოტენციური კერა ძველ გზასთან 200 მეტრის მოშორებით, რის გამოც გატარდა შესაბამისი ღონისძიებები და დაწესდა სპეციალური რეჟიმი. ღონისძიებები გრძელდება, რათა უახლოეს მომავალში გაუქმდეს რიკოთზე გადაადგილების სპეციალური რეჟიმი სატვირთო ტრანსპორტისთვისაც. პარალელურად კი, მიმდინარეობს სატენდერო პროცედურები აღნიშნული ფერდის დამუშავებისთვის საჭირო სამუშაოებზე, რაც არ იყო გათვალისწინებული არც პროექტით და არც სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში,“** — აღნიშნა ირაკლი ქარსელაძემ.

**ამ დროისათვის, რიკოთის მაგისტრალური გზის მშენებლობის პროექტით გათვალისწინებული 51 გვირაბიდან უკვე გაჭრილია 50 გვირაბი და 97 ხიდიდან უკვე აშენებულია 83 ხიდი. აქედან, ავტოტრანსპორტის მოძრაობა უკვე გახსნილია რიკოთის მაგისტრალური გზის 27 კმ-იან, ოთხზოლიან მონაკვეთზე სოფელ ხევიდან და დაბა შორაპნამდე. ხევი-შორაპნის მონაკვეთი მოიცავს 65 ხიდსა და 38 გვირაბს, რომელმაც რიკოთზე გადაადგილების მანძილი რვა კმ-ით, ხოლო გადაადგილების დრო 25 წუთით უკვე შეამცირა. სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს ყველა დარჩენილ ხიდსა და გვირაბზე.**

**ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის მშენებლობა ევროპის საინვესტიციო ბანკთან (EIB) და მსოფლიო ბანკთან (WB) გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარეობს. საერთო ჯამში, აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გზის 60%-ზე მეტი (261 კმ) ავტოტრანსპორტისთვის უკვე გახსნილია. სამშენებლო სამუშაოები გრძელდება მაგისტრალური გზის 81 კმ-ზე.**

**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.**

# მაღალმთიან სოფელში ბუნებრივი აირი გაიყვანეს



**დუშეთის მუნიციპალიტეტში, ზღვის დონიდან 1400 მ-ზე მდებარე სოფელ ვაშლობში გაზიფიცირების სამუშაოები დასრულდა. ამიერიდან, სოფელში მუდმივად მცხოვრები ორი ოჯახი ბუნებრივი აირით სარგებლობას შეძლებს.**

ადგილზე არსებულ ვითარებას მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებული დავით ნოზაძე, პირველ მოადგილესთან, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო. აღსანიშნავია, რომ წელს გაზიფიცირების სამუშაოები დუშეთის მუნიციპალიტეტის 11 სოფელში დასრულდა.

# 40 ათასი ლარის ნაცვლად 50 ათასი ლარი თითოეული ეკომიგრანტის ოჯახს

**აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის ხელმძღვანელობით ეკონომიკური განვითარების საბჭოს სხდომა გაიმართა.** სხდომაზე მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2024 წლის გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები განიხილეს.

**„იმსჯელეს ეკომიგრანტების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის დაფინანსების გაზრდაზე. 2024 წლის გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში, თითოეული ეკომიგრანტი ოჯახი 40 ათასი ლარის ნაცვლად მიიღებს 50 ათასი ლარის თანადაფინანსებას.**

**ეკონომიკური საბჭოს ფარგლებში ასევე განიხილეს ნარინჯისფერი რთვლის მიმდინარეობის პროცესი. წელს არასტანდარტულ ციტრუსზე სახელმწიფო სუბსიდია გაორმაგდა. ფერმერების ხელშეწყობისა და ნარინჯისფერი რთვლის წარმატებით წარმართვის მიზნით მოქმედებს ციტრუსის საკოორდინაციო შტაბი. ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე, განკარგულების ფარგლებში ბიზნესის ხელისშემწყობი ღონისძიებების შესახებ იმსჯელეს“,** — აღნიშნულია ინფორმაციაში.





რუსი ოკუპანტების მიერ მოკლული თამაზ გინტური

## თამაზ გინტურის მკვლელობის შემდეგ კირბალში შიში გაძლიერდა

# ლომისის კარს არავის ავაჭედვინებთ!



სოფელი კირბალი, თამაზ გინტურის დაკრძალვის დღეს 11 ნოემბერი, 2023 წელი

**სოფელ კირბალის შესასვლელში ახლა პოლიციის სამი მანქანა დგას. ორი ეკიპაჟი კი საოკუპაციო გამყოფ ხაზთან პატრულირებს. კირბალს მთა და ტყის მასივი ესაზღვრება, მთის მიღმა ოკუპირებული ღრომის ხეობაა, სადაც საოკუპაციო ძალების სამხედრო ბაზაა განთავსებული.**

მთაზეა ლომისის ეკლესიის ნიში, რომელიც ოკუპირებულ ნაწილში ხვდება. იქიდან, აღმოსავლეთით სასაფლაო და წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია მდებარეობს. დასავლეთით კი ღვთისმშობლის სახელობის პატარა სამლოცველოა. ამ ორ ეკლესიას შორის ახლა პოლიციელები პატრულირებენ და აკვირდებიან ოკუპირებულ ნაწილში დარჩენილ ლომისის ნიშს.

6 ნოემბრამდე სოფელში, სასაფლაოს მიმართულებით დღეში ერთხელ თუ აივლიდა საპატრულო ეკიპაჟი. ვითარება კი მას შემდეგ შეიცვალა, რაც საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა ადგილობრივი მცხოვრები თამაზ გინტური ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ნიშთან მოკლეს.

დალი დოთიაშვილს კირბალის ცენტრში პატარა მაღაზია აქვს. მის მაღაზიასთან ადგილობრივები ხშირად იკრიბებიან სოფლის პრობლემებსა და სიახლეებზე სალაპარაკოდ. ახლა მათი მთავარი სალაპარაკო თემა უსაფრთხოებაა.

ძალიან ძვირფასი ადამიანი დააკლდა სოფელს, ძვირფასი ადამიანი იყო თამაზ გინტური. ვისი მკვლელები დაუსჯიათ, რომ ეგენი დაისაჯონ? მე არ მაქვს იმედი, რომ ეგენი (ოკუპანტები) დაისჯებიან. მთაზე დილით ნახირს რომ გავრეკავთ, გვეშინია, მწყემსები და საქონელი დაბრუნდებიან თუ არა. შიშის ქვეშ ვართ მთელი სოფელი.

მაღაზიასთან შეკრებილი კირბალელები ამბობენ, რომ თამაზ გინტურის მკვლელობის შემდეგ სოფელში შიში გაძლიერდა. მათ არც იმის იმედი აქვთ, რომ სამართალდამცველები დამნაშავის იდენტიფიცირებას და მის დასჯას შეძლებენ. უცნობია, რა ეტაპზეა ახლა გამოძიება.

6 ნოემბერს ცხინვალში გატაცებული ლევან დოთიაშვილის მამა, იური დოთიაშვილი ამბობს, რომ მას შემდეგ ის შეიცვალა, რომ სოფელში პოლიციის პატრულირება გაძლიერდა, თუმცა ადგილობრივები სოფლის მიმდებარედ, ეკლესიებისკენ გასვლას მაინც ერიდებიან.

კირბალში ორიოდე დღის წინათ სახალხო დამცველი ჩავიდა, ლევან იოსელიანი დაღუპული თამაზ გინტურის ოჯახის წევრებს შეხვდა. იქიდან კი ლევან დოთიაშვილის სახლში გადაინაცვლა.

სახალხო დამცველი ლევან იოსელიანი გინტურის ოჯახის წევრებისგან გამოძიების მიმდინარეობის საკითხებით დაინტერესდა.

**„გამოძიების და უსაფრთხოების საკითხებით დავინტერესდი. ვხედავ, რომ სოფელში პოლიცია პატრულირებს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გამოძიებამ მოკლე დროში ოჯახის ყველა კითხვას გასცეს პასუხი. დამნაშავეების დასჯაზე რა მოგახსენოთ, ყველას გვესმის, რომ ეს ასეთი მარტივი არ იქნება, გამომდინარე გასული ამბებიდან, რაც ჩვენი მოქალაქეების მკვლელობებს უკავშირდება (ოკუპანტების მიერ) და არც ერთი მათგანი ჯერჯერობით დასჯილი არ არის. მაგრამ ჩვენი მხრიდან ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ დამნაშავეებმა აგონ პასუხი. ჩვენ კავშირზე ვართ გამოძიებასთან. ოჯახების წევრების გამოკითხვა მოხდა. ველოდებით ექსპერტიზის პასუხებს და ამის შემდეგ უფრო ნათელი გახდება, რა ექნება გამოძიებას ხელჩასაჭიდი და საზოგადოებას რას წარუდგენს“,** – თქვა **ლევან იოსელიანმა.**

**თამაზ გინტურის ოჯახს დაზარალებულის სტატუსი აქვს, პროკურატურამ მის უფლებამონაცვლედ მისი შვილი, დიმა გინტური ცნო. გამოკითხეს გივი (ნიკოლოზ) გინტურიც.**

მომხდარზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ რუსეთის საოკუპაციო ძალის წარმომადგენლის მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად საქართველოს მოქალაქის მკვლელობის და ერთი პირის გატაცების ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე და 143-ე მუხლებით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას და თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს.

გამოძიება გრძელდება, ჯერჯერობით ცნობილი არ არის ექსპერტიზის პასუხები.

საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა საქართველოს მთავრობას მოუწოდეს, თამაზ გინტურის მკვლელები ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში შეიყვანონ და 2018 წელს მიღებული ეს სია აამოქმედონ.

**ლომისის წმინდა გიორგის ეკლესიის ნიშთან კირბალის, მეჯვრისხევის, ზერტისა და ბერშუეთის მცხოვრებლები ყოველწლიურად რელიგიური რიტუალის შესასრულებლად მიდიოდნენ 2018 წლამდე. 2018 წელს საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა ეს ადგილი ოკუპირებულად გამოაცხადეს და ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე საგუშაგოც მოაწყვეს. 2018 წლის 30 მაისს ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ „ცხელი ხაზის“ მეშვეობით საქართველოს უსაფრთხოების სამსახური გააფრთხილა, რომ სალოცავში მისვლის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეებს საზღვრის დარღვევის ბრალდებით დააკავებდნენ და ცხინვალის იზოლატორში გადაიყვანდნენ. ამის მიუხედავად კირბალელები ლომისის ეკლესიის ნიშთან მისვლას მაინც ახერხებდნენ.**

საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა ეკლესიის კარი ზაფხულში ლითონის ფირფიტით დალუქეს, თუმცა ეს ფირფიტა ადგილობრივებმა მოაძვრეს და ეკლესიის კარი მაინც შეაღეს, შემოდგომის დასაწყისში საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები ისევ მივიდნენ სალოცავში და ამჯერად კარი სამშენებლო ქაფით ჩაჭედეს.

**6 ნოემბერის საღამოს კი თამაზ გინტურმა და ლევან დოთიაშვილმა ეკლესიის კარი ისევ შეაღეს. თამაზ გინტური კირბალის სასაფლაოზე 11 ნოემბერს სამხედრო პატივით დაკრძალეს, მისმა ძმამ კი საფლავთან დაიფიცა, რომ ლომისის ეკლესიის კარს არავის ააჭედვინებს.**



### პასუხისმგებელია რუსეთის საოკუპაციო ძალა

**თამაზ გინტურის მკვლელობისთვის დამნაშავე პირებმა კანონის მთელი სიმკაცრით უნდა აგონ პასუხი, მომხდარ საზარელ მკვლელობაზე პასუხისმგებელია რუსეთის საოკუპაციო ძალა — ეს ევროპარლამენტარების პოზიციაა 6 ნოემბერს საოკუპაციო რეჟიმის მიერ თამაზ გინტურის მკვლელობაზე.**

**ევროპარლამენტარები ევროპულ საბჭოს მიმართავენ შექმნას სია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, ადამიანის უფლებების უხეშად დამრღვევთა წინააღმდეგ მიზანმიმართული სანქციების და შეზღუდვების დასაწესებლად.**

**გოგა აფციაური**

# ბაიდენის ორმაგი თამაში

**ამერიკის კონგრესის რესპუბლიკელი წევრების აზრით, უკრაინისა და ისრაელის დაფინანსების საკითხში, პრეზიდენტი ბაიდენი, ორმაგ თამაშს თამაშობს. გაღიზიანებული რესპუბლიკელები ბაიდენისგან მკვეთრი ანტიირანული ზომების მიღებას ითხოვენ. ისინი ირწმუნებიან, რომ სწორედ ირანმა მოამზადა და დააფინანსა შვიდი ოქტომბრის ტერაქტები ისრაელში. რესპუბლიკელებმა ფლორიდის გუბერნატორ დესანტისის ახალმიღებული კანონი მოუწონეს, რომლის მიხედვით ფლორიდაში მოქმედ ყველა ირანულ ფირმას სანქციები ეკისრება.**

პრეზიდენტის მიმართ რესპუბლიკელთა მწვავე კრიტიკის მიზეზი ისიცაა, რომ მთავრობა ერაყისთვის დაწესებული ზოგიერთი სანქციის გაუქმებას აპირებს. საუბარია, ამერიკის ფონდებში გაყინულ, ერაყის კუთვნილ, ათმილიარდ დოლარზე. ახლა, ბაიდენის ადმინისტრაციას სურს, რომ ერაყს უფლება მისცეს ეს ფული განკარგოს. საქმე იმაშია, რომ ერაყის ხელსუფლებაში მოსულ და ირანთან შეხმატკბილებულ შიიტურ მთავრობას ირანისთვის ძველი ათმილიარდიანი ვალის დაბრუნების შანსი გაუჩნდება ერაყისთვის სწორედ ამ სანქციის მოხსნის წყალობით.

რესპუბლიკელები ეჭვობენ, რომ მთავრობისთვის ეს მაქინაცია ცნობილია, მაგრამ ყურს არ იბერტყავს, რასაც ნამდვილი ორმაგი თამაშის სუნი და ელფერი აქვს, ანუ, ირანს თან სანქციებს უწესებს და პროირანულ ძალებს ბომბავს სირიაში, თან, ცდილობს, უკრაინის ომში, ირანი თავისკენ გადმოიბიროს. ცნობილმა ამერიკელმა ექსპერტმა სანქციების საკითხში და წინა ადმინისტრაციის უშიშროების საბჭოს აპარატის თანამშრომელმა, რიჩარდ გოლდბერგმა, მასმედიაში, ასეთი კომენტარი გააკეთა თემაზე: მთელი მსოფლიო შვიდი ოქტომბრის ტრაგედიის შთაბეჭდილებებით ცხოვრობს. მხოლოდ ბაიდენის ადმინისტრაციის კალენდარზე არ აღბეჭდილა ჯერ შვიდი ოქტომბერი. ამერიკამ უნდა დაასრულოს მათრახისა და თაფლისკვერის პოლიტიკა ირანთან.



ჩვენ, ყველამ, უნდა ავიხილოთ თვალი. რაც დღეს ახლო აღმოსავლეთში ხდება, ყველაფერში ირანია დამნაშავე. ირანი არასდროს არ გაუწოდებს ხელს ამერიკას. ბაიდენის ადმინისტრაციის თქმით კი, სანქციების მოხსნა ერაყისთვის დიდი ხნის წინ იყო დაგეგმილი, და რომ, აქ უკრაინისა და ისრაელის დახმარების საკითხი არაფერ შუაშია. მოკლედ, რესპუბლიკელები ბაიდენისგან უკრაინის მიმართ ნაკლებ ყურადღებასა და ახლო აღმოსავლეთში მეტ აქტიურობას ითხოვენ.

**ნუგზარ ბ. რუხაძე**

POSTV

# ახალი „პარაგრაფი“ თბილისის გულში...



## ირაკლი ღარიბაშვილი:

## მარიოტის საერთაშორისო ქსელის უმაღლესი კატეგორიის ბრენდის – LUXURY COLLECTION – შემოსვლით ჩვენს ქვეყანაში და, ზოგადად, საქართველოს სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში ახალი პარაგრაფი იწყება




(პირველი გვერდიდან)

**მე ძალიან მოხარული ვარ, რომ დღეს მონაწილეობას ვიღებ ასეთი არაჩვეულებრივი, უნიკალური სასტუმროს გახსნის ცერემონიაში. მინდა ყველას მოგილოცოთ ამ უნიკალური პროექტის დასრულება. თბილისს, ჩვენს დედაქალაქს, ჩვენს ქვეყანას შეემატა კიდევ ერთი გამორჩეული პროექტი.**

**მინდა რამდენიმე სიტყვით აღვნიშნო პროექტის მნიშვნელობის შესახებ. მანამდე შეგახსენებთ, რომ 2018 წელს მარიოტის საერთაშორისო ქსელის Autograph Collection-ის ბრენდი შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში პირველად და თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ყველასთვის ცნობილი სასტუმრო „პარაგრაფ შეკვეთილი“ გაიხსნა, რომელიც მართლაც გამორჩეული სასტუმრო არის მთელ რეგიონში. დღეს კი მარიოტის საერთაშორისო ქსელის უმაღლესი კატეგორიის ბრენდის – Luxury Collection – შემოსვლით ჩვენს ქვეყანაში და, ზოგადად, საქართველოს სტუმარ-მასპინძლობის ინდუსტრიაში, შეიძლება ასე ითქვას, ახალი პარაგრაფი იწყება. ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორში არსებული პოზიტიური დინამიკის პირობებში, რა თქმა უნდა, ძალზედ მნიშვნელოვანია დედაქალაქის ცენტრში ასეთი არაჩვეულებრივი, უნიკალური ახალი სასტუმროს ფუნქციონირება. ასე რომ, კიდევ ერთხელ ყველას გილოცავთ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სასტუმროს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა, თანამედროვე, მრავალფუნქციური კომპლექსი, 220 ნომერი, 5 სხვადასხვა კატეგორიის რესტორანი და სხვა სივრცეები - ეს ყველაფერი ქმნის ყველა იმ საშუალებას, რომ სასტუმრომ უმასპინძლოს უმაღლესი კატეგორიის საერთაშორისო ღონისძიებებს, ბიზნესკონფერენციებს, ვიზიტორებს, დამსვენებლებს, ჩვენს ტურისტებს“...**

პრემიერ-მინისტრის თქმით, „პარაგრაფ თბილისის“ ჯამური საინვესტიციო მოცულობა 150 მილიონი დოლარია.

**„მე მინდა განსაკუთრებული მადლიერებით აღვნიშნო ამ პროექტის მთავარი ავტორის – ბატონი ბიძინა ივანიშვილის – როლი, მას მადლობა გადავუხადო კიდევ ერთხელ ასეთი მნიშვნელოვანი, არაჩვეულებრივი პროექტის განხორციელებისთვის. მე მინდა მადლობა ვუთხრა თანაინვესტირების ფონდს, თითოეულ თანამშრომელს, ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩართული იყო აი, ამ არაჩვეულებრივი პროექტის განხორციელებაში. დარწმუნებული ვარ, რომ ახალი სასტუმრო მალე იქცევა თბილისის სტუმრების საყვარელ ადგილად. ასევე მინდა ვთქვა, რომ თანაინვესტირების ფონდი უკვე მრავალი წელია აქტიურად მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში. რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო იმ უკიდეგანო ქველმოქმედების შესახებ, რომელიც განხორციელებული აქვს ბატონ ბიძინა ივანიშვილს – 3 მილიარდ დოლარზე მეტი ქველმოქმედება და ახლა უკვე ასეულობით მილიონი დოლარის კონტრიბუცია ჩვენი ქვეყნის განვითარების საქმეში. ასევე ძალიან მოკლედ მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო 10 წელში შეიქმნა ახალი 85 000 საწოლი ადგილი მთელ ქვეყანაში – 85 000 ახალი საწოლი ადგილი. ჯამური ინვესტიცია 2 მილიარდ ლარზე მეტს შეადგენს. ტურიზმი ვითარდება ძალიან სწრაფად ჩვენს ქვეყანაში. შარშან საერთაშორისო მოგზაურობიდან 3,5 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო ქვეყანამ. წელს უკვე სამ კვარტალში 3,3 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო საქართველომ. ეს ყველაფერი გვაძლევს ძლიერი ოპტიმიზმის საფუძველს, რომ ქვეყანა ვითარდება, ეკონომიკა ვითარდება, ასე რომ, კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ ახალი პროექტის დასრულებას. დიდი მადლობა!“**



ღონისძიებაზე მიწვეულ სტუმრებს სიტყვით ასევე მიმართეს სასტუმროების მართვის კომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ტოგონიძემ, მარიოტის საერთაშორისო ქსელის პრეზიდენტმა სატია ანანდიმ, საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ბაიდარაშვილმა და სასტუმროს „პარაგრაფ თბილისის“ გენერალურმა მენეჯერმა ტომას ვან ოპსტალმა.

**„პარაგრაფ თბილისში“ და „პარაგრაფ შეკვეთილში“ ჯამურად დასაქმებულთა რაოდენობა 900 ადამიანს აჭარბებს. „პარაგრაფ თბილისი“ შეძლებს, უმასპინძლოს უმაღლესი კატეგორიის საერთაშორისო ღონისძიებებს და საქართველოში მოიზიდოს ახალი კატეგორიის ბიზნეს-ვიზიტორები თუ დამსვენებლები.**

# აშშ-ში ქართული ღვინის მარკეტინგული კამპანია 2024 წლიდან კიდევ უფრო მასშტაბური გახდება



**ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართული „ქართული ღვინის ფორუმის“ ფარგლებში, ქალაქ ჰიუსტონში, ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი თამთა ყველაიძე სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის Colangelo & Partners-ის ვიცე-პრეზიდენტ პოლ იანონს შეხვდა. ამის შესახებ ინფორმაციას ღვინის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.**

მისი ცნობით, მხარეებმა შეხვედრაზე 2023 წელს განხორციელებული ღონისძიებები შეაჯამეს და 2024 წლის მარკეტინგული სტრატეგია განიხილეს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის თამთა ყველაიძის განცხადებით, ღვინის ეროვნული სააგენტო მომავალ წელს აქტიურად გააგრძელებს აშშ-ში ქართული ღვინის მარკეტინგულ ღონისძიებებს.

**„არსებულ მიმართულებებთან ერთად, გაძლიერდება მომხმარებელზე ორიენტირებული მედიაკამპანიები, რომლებიც გათვლილია ამერიკის ღვინის ბაზარზე ქართული ღვინის ცნობადობისა და გაყიდვების ზრდაზე. ვგეგმავთ თანამშრომლობას ისეთ წამყვან მედიაჰოლდინგებთან და გამომცემლობებთან, როგორებიცაა CNN, Wine Enthusiast, Wine&Spirits Magazine, The New York Times და სხვა“,** – აღნიშნა თამთა ყველაიძემ.

Colangelo & Partners-ის ვიცე-პრეზიდენტის პოლ იანონის განცხადებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად იზრდება ინტერესი ქართული ღვინის მიმართ.

**„ჩვენი სამომავლო საქმიანობის მიზანია, გაიზარდოს ქართული ღვინის მოხმარება და, ამასთან ერთად, ის ჩამოყალიბდეს როგორც კონკურენტუნარიანი კატეგორია“,** – აღნიშნა პოლ იანონმა.

აშშ-ში ქართული ღვინის მარკეტინგულ კამპანიას „Colangelo & Partners“, ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან კონტრაქტის ფარგლებში, 2022 წლიდან ახორციელებს.

**„Colangelo & Partners“** ერთ-ერთი უმსხვილესი მარკეტინგული კომპანიაა, რომელიც ამერიკის ბაზარზე 15 წელზე მეტია ოპერირებს. მიმდინარე წელს, ქართული ღვინის მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში, კომპანიის **Colangelo & Partners**-ის ორგანიზებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაგეგმილი ქართული ღვინის მარკეტინგული კამპანია იმ სტრატეგიულ მიმართულებებს მოიცავდა, რამაც უნდა უზრუნველყოს ქართული ღვინის ცნობადობის და აშშ-ის ბაზარზე მოთხოვნის გაზრდა“, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.



# უნივერსიტეტის ქუჩის განახლება რამდენიმე დღეში დასრულდება!



**თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ სასკოლო ტრანსპორტს საავტობუსო ზოლში გადაადგილება შეეძლება.**

მისი თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილება ათასობით მოსწავლის სწრაფ და უსაფრთხო გადაადგილებას უზრუნველყოფს.

(სრულ ინფორმაციას აქვე გთავაზობთ).

თბილისის მერმა საზოგადოებრივ ტრანსპორტზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ 18-მეტრიანი ახალი ავტობუსები 12-მეტრიანებს ოთხ მარშრუტზე – №301, №302, №308 და №314 ჩაანაცვლებს.

**„მომავალი წლიდან დედაქალაქში 18-მეტრიანი ავტობუსები იმოძრავებს. მაღალი ტევადობის ეს ახალი ავტობუსები იმოძრავებს წინასწარ განსაზღვრულ დერეფნებზე, რომელიც საერთაშორისო კონსულტანტებთან ერთად კვლევის შედეგად, მაღალი მგზავრთნაკადის გათვალისწინებით შევარჩიეთ. 18-მეტრიანი ავტობუსები წლების წინ თბილისში გადაადგილდებოდა, ასევე, დადიოდა ტრამვაი, თუმცა მავნებლებმა, ბოროტებმა ქალაქს ძალიან მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ტრანსპორტი წაართვეს, ტრამვაის სახით. დღეს რომ ქალაქს ტრამვაი ჰყავდეს, ეს კიდევ უფრო ბევრი ადამიანის გადაყვანის საშუალებას მოგვცემდა და ნაწილობრივ შეამსუბუქებდა იმ ვითარებას, რომელიც დღეს სატრანსპორტო მიმართულებით გვაქვს ქალაქში“,** – აღნიშნა კახა კალაძემ.

**„აღნიშნული ცვლილებით, ახალი ავტობუსის მაღალი ტევადობის გათვალისწინებით, მარშრუტის გამტარუნარიანობა 50 პროცენტით გაიზრდება. გამოთავისუფლებული 12-მეტრიანი ავტობუსები კი დაემატება სხვადასხვა მარშრუტს, რითიც შემცირდება ამ ხაზებზე მოლოდინის დრო, ხოლო გამტარუნარიანობა გაიზრდება 40 პროცენტით“,** – აღნიშნა თბილისის მერმა.

* * *

მთავრობის სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ თბილისის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი განსახილველად უკვე დედაქალაქის საკრებულოშია გადაგზავნილი. ბიუჯეტის პირველადი პროექტის მოცულობა 1 მილიარდ 700 მლნ 912 ათასი ლარით არის განსაზღვრული.

**„თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა, რომელიც წარდგენილია საკრებულოში, განსაზღვრულია 1 მილიარდ 700 მლნ 912 ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 68 მლნ 779 ათასი ლარით. ეს არის ბიუჯეტის პროექტის პირველადი და არა საბოლოო ვერსია. ჩემი თხოვნა იქნება, საზოგადოება შეცდომაში არ შეიყვანოთ, რადგან მოგვიწევს აღნიშნული პროექტის მოცულობის დაკორექტირება. ვთანამშრომლობთ ფინანსთა სამინისტროსთან, რისთვისაც ამ უწყებას მადლობას ვუხდი. ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო ცენტრალურ ხელისუფლებას“.**

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც კახა კალაძემ ყურადღება გაამახვილა, პრემიერ-მინისტრის ინიციატივაა. აღინიშნა, რომ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწებზე უკანონოდ აშენებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ლეგალიზება-დაკანონების შესახებ დედაქალაქს არ შეეხება, რადგან თბილისში მსგავსი მასშტაბური ამნისტია უკვე განხორციელდა.

მისი განმარტებით, აღნიშნული ინიციატივა მოქალაქეების საკუთრების უფლების სრულფასოვნების ხელშეწყობისა და მათი ქონების კანონიერად აღიარების გარდა, ხელს შეუწყობს ქვეყანაში არსებული შენობა-ნაგებობების აღრიცხვიანობასაც.

თბილისის მერმა ქალაქში მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა. მისი თქმით, უნივერსიტეტის ქუჩის რეაბილიტაცია ნოემბრის ბოლოს დასრულდება.

**„უნივერსიტეტის ქუჩაზე პირველი, რაც გაკეთდა, იყო მიწისქვეშა კომუნიკაციები. აღნიშნული სამუშაოები დასრულებულია. გზის სავალ ნაწილზე ასფალტის საფარის ქვედა ფენები დაგებულია, სრულდება ტროტუარის მოწყობა და საჰაერო სადენების კაბელ-არხებში განთავსება. მონტაჟდება გარე განათების ახალი ქსელი და ეწყობა საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის განკუთვნილი გაჩერებები. პროექტის ფარგლებში, უსაფრთხოების მიზნით, ფერდის დამცავი კედლები ეწყობა, რომლის სამუშაოებიც, ასევე, ბოლო ეტაპზეა. უახლოეს დღეებში ასფალტის საფარის ზედა ფენა დაიგება. ნოემბრის ბოლოს პროექტით გათვალისწინებული საგზაო სამუშაოები დასრულდება და გადაადგილება ორმხრივად იქნება შესაძლებელი. შემდეგ ჩატარდება გზის დახაზვისა და კეთილმოწყობის სამუშაოები, რომელთაც პარალელურად განვახორციელებთ, გადაადგილება კი ორმხრივად იქნება შესაძლებელი, რადგან აღნიშნული ქუჩის ცალმხრივად ჩაკეტვა და იმ სამუშაოების ჩატარება ძალიან დიდ პრობლემასთან იქნება დაკავშირებული“,** – განაცხადა თბილისის მერმა.

კახა კალაძემ დედაქალაქში მცხოვრებლებს რეაბილიტაციის პროცესში შექმნილი დისკომფორტისთვის ბოდიში კიდევ ერთხელ მოუხადა.



თბილისის მერის თქმით, რეაბილიტაცია ჩაუტარდა თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ არსებულ შადრევანსაც. სამუშაოები შადრევნის ისტორიული იერ-სახის შენარჩუნებას ითვალისწინებდა, რისთვისაც, დაახლოებით, ნახევარ მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა.

**„ეკოსერვის ჯგუფმა“ თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ, შადრევნის რეაბილიტაცია განახორციელა. სამუშაოები შადრევნის ისტორიული იერ-სახის შენარჩუნებას ითვალისწინებდა. რეაბილიტაციის ფარგლებში, სრულად განახლდა შადრევნის კედლის წყლის ფარდა, აუზი, ტუმბო-აგრეგატი, მართვის ოთახი და დამცლელი მილი; შეიცვალა შადრევნის კედლის ქვედა ფილები და მოპირკეთდა გრანიტით. მოეწყო განათებები, ამომფრქვევები და ელექტროსადენები. სამუშაოების ღირებულებამ, დაახლოებით, ნახევარ მილიონ ლარზე მეტი შეადგინა. აღნიშნული ტერიტორია ჩვენ მთლიანად მოვაწესრიგეთ და დღეს, ყველანაირად კეთილმოწყობილია. ტერიტორიაზე ასევე, განახლდა მიწისქვეშა გადასასვლელები“.**

დედაქალაქის მერმა ასევე აღნიშნა, რომ ლორთქიფანიძის ქუჩა №28-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც კორპუსის მშენებლობა მიმდინარეობდა, ადგილმონაცვლეობა განხორციელდა.

**„ლორთქიფანიძის ქუჩა №28-ის მიმდებარედ დასასვენებელი სივრცე და სპორტული მოედანი მოეწყობა. ეს არის მიწის ნაკვეთი, სადაც კორპუსის მშენებლობა იგეგმებოდა. დაწყებული იყო გარკვეული სამუშაოები, რომლის შესრულებისას ჩამოიშალა ფერდი, რის გამოც მოგვიხდა მიმდებარე კორპუსიდან მოსახლეობის დროებით ქირით გაყვანა. ფერდი უკვე გამაგრებულია. გავაუქმეთ მშენებლობის ნებართვა და განხორციელდა აღნიშნული მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობა. ახლა კი, 1 500 კვ.მ ფართობის ტერიტორიაზე ვაკის რაიონის გამგეობა დასასვენებელ სივრცეს მოაწყობს“,** – დასძინა დედაქალაქის მერმა.

# საავტობუსო ზოლში სასკოლო ტრანსპორტიც იმოძრავებს!

**სატრანსპორტო რეფორმა, რომელიც 2017 წელს დავიწყეთ, ბევრი მიმართულებისგან შედგება, თუმცა პრიორიტეტული მიმართულებებია ქვეითთა უსაფრთხო გადაადგილება და სწრაფი, კომფორტული საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ნებისმიერი მოქალაქისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტი უნდა იყოს ხელმისაწვდომი და ქალაქის ერთიდან მეორე ადგილზე გადაადგილება უნდა იყოს სწრაფად შესაძლებელი.**

ამ კონცეფციის დანერგვისთვის არაერთი კვლევა ჩატარდა, მნიშვნელოვანი სატრანსპორტო სქემები შემუშავდა, განახლდა მუნიციპალური ავტობუსების პარკი, ძველი ავტობუსები მთლიანად ჩანაცვლებულია, თუმცა ეს პროცესი ჯერ არ დასრულებულა. ველოდებით 18-მეტრიანი ავტობუსების შემოსვლას. დეკემბერში 50 ერთეული უკვე თბილისში იქნება. გარკვეული ნაწილი უკვე აქ არის და იანვრიდან უკვე მოემსახურება ჩვენი ქალაქის მოსახლეობას. გარდა ამისა, იცით, რომ მთლიანად შეცვლილია მიკროავტობუსები, ასევე, რამდენიმე დღის წინ ვთქვით, რომ ვაპირებთ 212 ვაგონის შესყიდვას, ქუჩები ეწყობა ახალი დიზაინით, დაიხაზა და კიდევ ემატება ავტობუსის ზოლები, ეწყობა ზებრა გადასასვლელები, ქვეითებზე მორგებული შუქნიშნები და ა.შ. ეს არის პროცესი, რომელიც ჯერ არ დასრულებულა და მისი ყოველი მომდევნო ეტაპი გეგმაზომიერად მიგვიყვანს დასახულ მიზნამდე.

ამავე რეფორმის ნაწილი იყო ტაქსების A და B კატეგორიებად რეგისტრაცია და კონკრეტულად 10 წლამდე ტაქსების ავტობუსის ზოლში დაშვების გადაწყვეტილება, რაც ერთგვარად ასტიმულირებს ტაქსის სერვისში ძველი ავტომანქანების ახლით ჩანაცვლებას, რაც თავის მხრივ კიდევ ერთი ძალისხმევაა ქალაქში ჰაერის ხარისხის მაჩვენებლის გაუმჯობესებისთვის და ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორებისთვის.

**ვინაიდან ამ ქალაქში კერძო ავტომანქანების სიჭარბის გამო საცობების პრობლემა ჯერ კიდევ დაუძლეველია და ვითვალისწინებთ რა პიკის საათებში სკოლის მოსწავლეების სწრაფი და უსაფრთხო გადაადგილების საჭიროებებს, გადავწყვიტეთ, M2 და M3 კატეგორიის სასკოლო ტრანსპორტსაც მივცეთ შესაძლებლობა, რომ გადაადგილდნენ საავტობუსო ზოლში, გარკვეული პირობებით. ეს ეხება საჯარო და კერძო სკოლებს.**

კერძოდ, გადაადგილების უფლება ექნება ტექნიკურად




გამართულ სასკოლო ავტოსატრანსპორტო საშუალებას, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური ტექნიკური დათვალიერება და განთავსებული აქვს მერიასთან შეთანხმებული ვიზუალური ნიშანი, რომელიც ასახავს, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებას გადაჰყავს სკოლის მოსწავლეები.

**აღნიშნული ავტობუსი იმოძრავებს მხოლოდ წინასწარ შეთანხმებულ მარშრუტზე, მხოლოდ სამუშაო დღეების განსაზღვრულ მონაკვეთებში – დილის 6-დან 9-მდე და დღის 2-დან 6 საათამდე პერიოდში.**

**საავტობუსო ზოლში მათ შეეძლებათ მხოლოდ ავტობუსის გაჩერებებზე შეჩერება არაუმეტეს 1 წუთისა, ისევე, როგორც ეს განსაზღვრულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის შემთხვევაში. შაბათ-კვირას, ოფიციალურ უქმე დღეებში და სამუშაო დღეების სხვა დროის მონაკვეთებში ავტობუსის ზოლში მოძრაობის, ასევე დამტკიცებული მარშრუტის დარღვევით მოძრაობის შემთხვევაში სასკოლო ტრანსპორტი დაჯარიმდება. იმისთვის, რომ სასკოლო ავტობუსს ჰქონდეს ავტობუსის ზოლით სარგებლობის უფლება, სკოლამ მოძრაობის მარშრუტის შესათანხმებლად უნდა მიმართოს მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და წარადგინოს კონკრეტული დოკუმენტაცია. მათ შორის ავტობუსების რაოდენობა შესაბამისი სახელმწიფო ნომრის და მარშრუტის მითითებით, ასევე კონკრეტული სკოლის ავტობუსების ვიზუალური მხარის ამსახველი მასალა. აღნიშნული რეგულაცია იმოქმედებს სატესტო რეჟიმში, 2024 წლის პირველი იანვრიდან პირველ ივლისამდე.**

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ჯუმშუდ ემინაგაროვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ჯუმშუდ ემინაგაროვი (პ/ნ 28001033445), მარნეული, ს. ალგეთი, მე-8 მე-2 ჩიხი №5

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

მარნეული, ს. ალგეთი, (საკადასტრო კოდი: 83.03.24.196 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 1000 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 24 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 8 დეკემბერი, 15:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP94348423; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 943484

6. **მოვალე:** რაფაელ ემინაგაროვი (პ/ნ 28001070985), თეთრიწყარო, ს. წინწყარო; მარალ ბაქიევა (პ/ნ 28001076381), მარნეული, ს. ალგეთი და თეთრიწყარო, ს. წინწყარო; ჯუმშუდ ემინაგაროვი (პ/ნ 28001033445), მარნეული, ს. ალგეთი, მე-8 მე-2 ჩიხი №5.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP94348423; ლოტის ნომერი: 943484).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 8 დეკემბრის 12:00 საათამდე.

---

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს სამეიე სოჰეილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** სამეიე სოჰეილ (პ/ნ 39867840), მცხეთა, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 004, ნაკვეთი 034

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

მცხეთა, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 004, ნაკვეთი 034 (საკადასტრო კოდი: 72.06.01.004.034 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 9000 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 24 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 8 დეკემბერი, 14:30 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP94348223; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 943482

6. **მოვალე:** სამეიე სოჰეილ (პ/ნ 39867840), მცხეთა, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 004, ნაკვეთი 034;
შპს „მერქანი“ (ს/ნ 425366043), თბილისი, გლდანის 1 მ/რ, კორპუსი 6, ბინა №21;
შპს „ლ&გ“ (ს/ნ 404383092), თბილისი, ჩუღურეთის რ-ნი, ე. ახვლედიანის ქ. №10;
მარიამ გელხაური (პ/ნ 01001025281), თბილისი, გლდანის 1 მ/რ, კორპუსი 6, ბინა №21;
მანუჩარ ცხელიშვილი (პ/ნ 21001012578), თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. №118/42;
სამად იარი (პ/ნ 01391047051), თბილისი, ფანჯიკიძის ქ. №22, ბლოკი „ა“, ბინა №59.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP94348223; ლოტის ნომერი: 943482).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 8 დეკემბრის 12:00 საათამდე.

---

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ბადრი როგავას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ბადრი როგავა (პ/ნ 19001076905), ზუგდიდი, ს. ახალსოფელი, ალ. ყაზბეგის ქ. №57

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ზუგდიდი, ს. ახალსოფელი (საკადასტრო კოდი: 43.11.44.127 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 2300 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 24 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 8 დეკემბერი, 14:15 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP94347923; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 943479

6. **მოვალე:** ირაკლი როგავა (პ/ნ 19001093180), ზუგდიდი, ს. ახალსოფელი, ალ. ყაზბეგის ქ. №57.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP94347923; ლოტის ნომერი: 943479).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 8 დეკემბრის 12:00 საათამდე.

---

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ივანე ბუიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ივანე ბუიშვილი (პ/ნ 20001056264), თელავი, ს. ქვემო ხოდაშენი, 22-ე ქუჩა №4

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

თელავი, ს. ქვემო ხოდაშენი, 22-ე ქუჩა №4 (საკადასტრო კოდი: 53.02.36.402 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 72795.90 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 24 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 8 დეკემბერი, 15:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP94348523; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 943485

6. **მოვალე:** ივანე ბუიშვილი (პ/ნ 20001056264), თელავი, ს. ქვემო ხოდაშენი, 22-ე ქუჩა №4;
თამარ მარუქაშვილი (პ/ნ 08001022347), ახმეტა, ს. მატანი, 29-ე ქუჩა №21

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP94348523; ლოტის ნომერი: 943485).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 8 დეკემბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $306-306^{1}6$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მაგდა მანაგაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მაგდა მანაგაძე (პ/ნ 60001135862), წყალტუბო, ს. ქვიტირი, მე-10 ქ. №3

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
წყალტუბო, ს. ქვიტირი, მე-10 ქ. №3 (საკადასტრო კოდი: 29.12.36.373 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 78091.67 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 24 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 8 დეკემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP94348623;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 943486

6. **მოვალე:** მაგდა მანაგაძე (პ/ნ 60001135862), წყალტუბო, ს. ქვიტირი, მე-10 ქ. №3
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP94348623; ლოტის ნომერი: 943486).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 8 დეკემბრის 12:00 საათამდე.

---

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $306-306^{1}6$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის" განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს რაშად ზეინალოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** რაშად ზეინალოვი (პ/ნ 28001085834), მარნეული, ს. პატარა ბეგლიარი

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
მარნეული, ს. პატარა ბეგლიარი (საკადასტრო კოდი: 83.04.14.117 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 1500 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 24 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 8 დეკემბერი, 15:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP94347823;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 943478

6. **მოვალე:** რაშად ზეინალოვი (პ/ნ 28001085834), მარნეული, ს. პატარა ბეგლიარი;
აიტან ზეინალოვა (პ/ნ 28001106840), მარნეული, ს. პატარა ბეგლიარი
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP94347823; ლოტის ნომერი: 943478).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 8 დეკემბრის 12:00 საათამდე.

## ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას"
# განცხადება

**ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 14 ნოემბრის №1-1/449 ბრძანების შესაბამისად**

საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკის ფარგლებში, ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" (შემდგომში: „სსე") საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის (KFW) თანადაფინანსებით, გურიის რეგიონში ახორციელებს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 მარტის №1-1/108 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმით" გათვალსიწინებულ 220/110 კვ. „ოზურგეთი-ზოტი ჰესის" ორჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას (შემდეგში: „220/110 კვ ეგხ „ოზურგეთი-ზოტი ჰესის" მშენებლობის პროექტი").

პროექტის დანიშნულებაა გურიისა და აჭარის რეგიონებში გადამცემი ქსელის გაძლიერება, მცირე ჰიდროელექტროსადგურებისა და ქსელის საიმედოობის გაზრდა. ბათუმის მომარაგება მოხდება ეგხ ოზურგეთი-ბათუმით და ეგხ ხორგა-ბათუმით. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ გაზრდის სიმძლავრის გატანის შესაძლებლობას ოზურგეთის ქ/ს-დან. ოზურგეთის ქ/ს-ს ასევე დაუკავშირდება ახალი 110 კვ ეგხ ოზურგეთი-ზოტი, რომელიც უზრუნველყოფს გურიის რეგიონის პერსპექტიული ჰესების მიერ გამომუშავებული ელ. ენერგიის საიმედო გამოტანას ქსელში.

ამრიგად, ახალი 220/110 კვ ეგხ „ოზურგეთი-ზოტი ჰესის" არსებობა მნიშვნელოვნად გაზრდის რეგიონის სტაბილურ ენერგომომარაგებას, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და აამაღლებს რეგიონის ენერგეტიკული სისტემის მდგრადობას. ამდენად, პროექტს გააჩნია სახელმწიფოებრივი და სოციალური დატვირთვა და მის წარმატებით განხორციელებას მნიშვნელოვანი როლი აქვს საქართველოს ენერგოსისტემის პერსპექტიული განვითარებისა და გაძლიერებისათვის.

220/110 კვ ეგხ „ოზურგეთი-ზოტი ჰესის" მშენებლობის პროექტის ფარგლებში, ეგხ-ის ერთ-ერთი ანძის საყრდენის განთავსების პოლიგონთან დაკავშირებით, პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში მცხოვრები რუსუდან მეგრელიშვილის (პ/ნ 33001014935) საკუთრებაში არსებული 4901 კვ.მ.

მიწის ნაკვეთის (ს/კ: 26.16.17.099) ნაწილის, კერძოდ, 369 კვ.მ.-ის გამოსყიდვის აუცილებლობა.

აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა დასახელებული პროექტის განხორციელების ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთის (369 კვ.მ-ის) ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების (საკომპენსაციო თანხის) ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეებს მიეწოდა ინფორმაცია, რომ მათი უარის შემთხვევაში, „სსე" იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და 220/110 კვ. ეგხ „ოზურგეთი-ზოტი ჰესის" მშენებლობის პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ მათი საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით, მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს.

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის №1-1/159 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2023 წლის 14 ნოემბერს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **№1-1/449** ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას"-თვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე", რომლითაც **ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა „სსე"** და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში მცხოვრები რუსუდან მეგრელიშვილის (პ/ნ 33001014935) საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

**- უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 26.16.17.099; საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 4901 კვ.მ.-ის ნაწილი - 369 კვ.მ.**

პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე" უახლოეს ხანებში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.

# ტრაგედია თელავში

**ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა თელავში. „ფორმულას" ინფორმაციით, ერეკლე მეორის ქუჩაზე ქვეითთა გადასასვლელზე გადასვლისას 40 წლამდე კაცს მსუბუქი ავტომანქანა დაეჯახა. მამაკაცი ადგილზე დაიღუპა.**

**თვითმხილველების თქმით, მანქანა მაღალი სიჩქარით მოძრაობდა, მძღოლი კი მიიმალა.**



კონტაქტები

# მრავალმხრივ სასარგებლო

**„არგენტინის სახლი საქართველოში“ თავკაცის ნიკო პატარქალიშვილის ძალისხმევით, შეუქცევადი ხდება ქართულ-სამხრეთამერიკული თანამშრომლობა, რომელიც უკვე გასცდა მხოლოდ სპორტული ურთიერთკავშირების საზღვრებს და არაერთი სხვა დარგი მოიცვა.**

**შემოთავაზებული მიმართვა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისადმი კიდევ ერთხელ დაგარწმუნებთ კონტაქტების გაღრმავების აუცილებლობასა და კონკრეტულ მიმართულებებზე.**

გაცნობებთ, რომ **ა.წ. 22 ნოემბერსა და 15 დეკემბერს შორის,** შესაძლებელია, რომ დავგეგმოთ, არგენტინის კორპორატიული ბანკის „Creditanstalt“-ის ლიდერის, ოფიციალური ოპერაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელის, **ბ-ნ ლუის რამირესისა** და „B.S.C.“-ს კომპანიის მფლობელისა და ხელმძღვანელის, **ბ-ნ ლუსიო ბერნასკონის** მოწვევა საქართველოში (ამ მოწვევას ექნება გაცვლითი ხასიათი, საქართველოდან ორი კაცის მიწვევით არგენტინაში) რომლებიც საქართველოს ეკონომიკის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებისა და სხვადასხვა სახის საწარმოების დაფუძნებისათვის წინასწარ სამუშაოებს ჩაატარებენ **ინვესტიციების მოზიდვის** მიზნით. აგრეთვე, შეხვედრებს გამართავენ ქართული ფეხბურთის აღორძინების, საქართველოსა და არგენტინას შორის ორმხრივი კულტურული, სპორტული, ტურისტული და სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების თაობაზე.

აღნიშნული პროექტის შესახებ ჩვენს მიერ ინფორმირებული არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, აგრეთვე, თბილისის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, გორის, ქუთაისის, თერჯოლის, ტყიბულის, მარტვილის, სენაკის, ხობის, ფოთის, ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ბათუმის მუნიციპალიტეტების მერიების ხელმძღვანელები, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ, რომ რადიკალურად შეცვალონ ადგილზე არსებული მდგომარეობა, ხელი შეუწყონ კრიზისის დაძლევას და ბიზნესის განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნას, ადგილობრივი პოტენციალის სრულყოფილად გამოყენებასა და მიგრაციული პროცესების შეჩერებას, **რისთვისაც, ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაში, სწორედ ადგილობრივ ხელისუფლებას აკისრია საკვანძო და წამყვანი როლი.**

ბატონები ლუის რამირესი და ლუსიო ბერნასკონი მზადყოფნას გამოთქვამენ შეგხვდნენ თქვენ, აგრეთვე, საქართველოს შესაბამისი სამინისტროების, თბილისისა და საქართველოს რეგიონების მუნიციპალიტეტებისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს, კერძო სექტორის წარმომადგენლებსა და ასევე წარსდგნენ ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე.

ისინი მონაწილეობას მიიღებენ ჩვენს მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონგრესზე, თბილისში, რომელიც გაიმართება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დიდ საგამოფენო დარბაზში, სადაც მოწვეული იქნებით თქვენ და საქართველოს შესაბამისი სამინისტროებისა და პარლამენტის კომიტეტების ხელმძღვანელები, რეგიონების რწმუნებულები, თბილისისა და რეგიონების ქალაქების მუნიციპალიტეტების მერიების, აგრეთვე, საქართველოს საპატრიარქოს, არგენტინის საელჩოს, გაეროს, ევროკავშირის, უეფა-სა და სფფ-ს წარმომადგენლები, რომელზეც წარდგენილი იქნება ჩვენი პროექტი, რომელშიც საქართველოს ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილია უკავია **„მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავებისა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების მშვიდობის ხეივნის“ დაარსებას თბილისში, რომელიც შექმნის ახალ ტურისტულ მარშრუტს და საქართველოს წარმოაჩენს როგორც მშვიდობისა და მეგობრობის ხიდს საერთაშორისო არენაზე,** სადაც, პელეს, მარადონას, მესხის, მეტრეველის, სიჭინავას, ხურცილავას, ძოძუაშვილის, ყიფიანის, ჩივაძის, გუცაევისა და სხვა ვარსკვლავების ფიგურების გარდა, საქართველოში ფეხბურთის აღორძინების მიზნით განთავსებული იქნება არაერთგზის მსოფლიოს ჩემპიონების, – არგენტინის, ბრაზილიისა და ურუგვაის ფეხბურთის აკადემიები, კულტურის ცენტრები სწრაფი კვების ობიექტებით, საცურაო აუზით, პიკნიკისათვის შესაბამისი მოწყობილობებით და აღნიშნული ხეივანი თბილისის მოსახლეობის, სტუმრებისა და ტურისტებისათვის გადაიქცევა კულტურისა და დასვენების პარკად.



შეძლებისდაგვარად, პროექტის გაცნობის მიზნით, რეგიონების მუნიციპალიტეტების მერიებისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებთან ვაგრძელებთ წინასწარ შეხვედრებს ადგილებზე.

რაც შეეხება ქართული ფეხბურთის განვითარებას, ჩვენი პროექტის მიხედვით, ა.წ. 10 ოქტომბრიდან, ზემოთაღნიშნული ბ-ნ ლუსიო ბერნასკონის ფირმის B.S.C. მეშვეობით, საქართველოს ეროვნულ ლიგაში მოასპარეზე საფეხბურთო კლუბს გორის „დილას“დახმარებას უწევენ **არგენტინელი მწვრთნელები ევერ დემალდე და დანიელ პაპალარდო,** რომლებმაც ამ მცირე დროის განმავლობაში წარმატებებს უკვე მიაღწიეს.

ყურადსაღებია აგრეთვე, რომ ჩვენი სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტი მოწონებულია, ქვეყნისთვის საჭიროდაა მიჩნეული და დალოცვილი, თქვენთვის დიდად საპატივცემულო, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიერ, რისთვისაც თქვენ, როგორც საქართველოს ეკონომიკური განვითარების, აგრეთვე, გრძელვადიანი მშვიდობისა და სტაბილურობის, ასევე, საქართველოსა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ხალხებს შორის მეგობრული და საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების მომხრე, იმედს გამოვთქვამთ, რომ მხარს დაუჭერთ ჩვენი ქვეყნისათვის მეტად საჭირო პროექტის განხორციელებას, რისთვისაც გთხოვთ,ორი კაცის მოწვევისა და მიღების ორგანიზებას საქართველოში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომელსაც ექნება გაცვლითი ხასიათი, განხორციელდეს მხოლოდ თქვენი პატრონაჟით.

ჩვენის მხრივ, მზად ვართ წარმოგიდგინოთ არგენტინელი პარტნიორები თბილისში და საქართველოს რეგიონებში, რისთვისაც გთხოვთ საქმის დაუყოვნებლად შესრულებისთვის საჭირო გადაწყვეტილებას.

**სურათზე: ნიკოლოზ პატარქალიშვილი (შუაში) გორის დილას არგენტინელ მწვრთნელებთან ერთად. ევერ დემალდე (მარცხნივ) და დანიელ პაპალარდო.**

64

## ოთარ შონია



შამათი 2 სვლაში

თრ. 1.მფ g3 2.ხხ b1,h8 3.მმ b4,d7 4.პპ c5,c6

შვ. 1.მფ e6 2.ხ g8 3.პპ d5,d6,e7

ამოხსნა

1.ხ b1-g6 ხ g8-f7 2.მ d7-f8+x/თუ 1...ხ g8-h7 2.მ d7-f8+x, თუ 1...პ d5-d4 2.მ d7-f8+x/



შამათი 3 სვლაში

თრ. 1.მფ g3 2.ე d8 3.ხხ b1,h8 4.მმ d7,e1 5.პპ c6,g5,h4,h5,h6

შვ. 1.მფ e6 2.ე h7 3.ხხ f8,g8 4.პპ c5,d5,d6,e7

ამოხსნა

1.მ e1-d3 მფ e6-f7 2.ე d8:f8+მფ f7-e6 3.მ d3-f4+x /თუ 1...ე h7:h8 ან h6-ზე 2.მ d3-f4+x ან მ d3:c5+x, თუ 1...მფ e6-f5 2.მ d3-f4+x, თუ 1...ხ f8-g7 2.მ d3-f4-მფ e6-f5 3.ხ b1-g6+x, თუ 1...ხ g8-f7 2.მ d3-f4+x/

# ორიოდე სიტყვით

### ძალოსნობა



**გვადალახარა (მექსიკა).** 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი. **3 ოქრო** – მარიამ მურღვლიანი (ატაცი – 102, აკვრა – 123, ორჭიდი – 225 კგ). **2 ბრინჯაო** – გურამ ვეკუა (აკვრა – 198, ორჭიდი – 358 კგ).

### ფეხბურთი

**ევრო-2024-ის ფინალურ ეტაპამდე გასავლელი გზა ფორტუნამ კიდევ უფრო შეგვიმოკლა, რადგან გუშინ გამართულ წილისყრაზე ნამდვილად გაგვიმართლა.**

საუბარია ერთა ლიგის პლეი-ოფის ფინალური მატჩის ადგილად საქართველო – ლუქსემბურგის ნახევარფინალური წყვილის გამარჯვებულის გარკვევაზე, რომელსაც გაისად 26 მარტს საბერძნეთ – ყაზახეთს შორის უძლიერესი ეწვევა. შეგახსენებთ, რომ პლეი-ოფების პირველი რაუნდი 21 მარტს გაიმართება.

### რაგბი



**უკვე** გაუწყეთ, რომ „ბორჯღალოსანთა“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ედი ჯონსის კანდიდატურა განიხილება. როგორც ავტორიტეტული ფრანგული გამოცემა ეკიპი გვაუწყებს, შესაბამისი მოლაპარაკებები რიჩარდ კოკერილთანაც მიმდინარეობს 2-წლიანი კონტრაქტის გაფორმების პერსპექტივით, რაც საქართველოს რაგბის კავშირში არ დაადასტურეს.

დავძენთ, რომ 52 წლის ინგლისელი სპეციალისტი სხვადასხვა დროს ლესტერ ტაიგერსს, ტულონს, ედინბურგს, მონპელიესა და შერკინებაში თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს ავარჯიშებდა.

### კალათბურთი

**ფიბა ევროპის თასი.** ჯგუფური ეტაპი. თსუ – ვარეზე (იტალია) 81:94 (16:16, 21:32, 14:21, 30:25). **ყველაზე შედეგიანები:** ანდრონიკაშვილი – 20 ქულა, 3 მოხსნა, 8 პასი; ჯინჭარაძე – 18 ქულა, 6 მოხსნა.

თსუ-მ ტურნირი 1 მოგებითა და 5 წაგებით დაასრულა.



### წყალბურთი

**ჩემპიონთა ლიგა.** ჯგუფური რაუნდი. ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) – დინამო (თბილისი) 16:8 (4:3, 6:1, 1:2, 5:2). **ყველაზე შედეგიანები:** ბესარიონ ახვლედიანი, ბორის ვაპენსკი, სტეფან პიეშივაცი – 2-2 გოლი. ეს დინამოს მე-5 მარცხია, მე-6 ტურში კი ხორვატეთში 6 დეკემბერს იუგს ესტუმრება.



სულთათანა

# ხუტა პაჭკორია ექიმი, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა!



ქართველ საზოგადოებას დააკლდა მამულიშვილი, სამედიცინო დარგს ექიმი — ლეგენდა. თითქმის ნახევარი საუკუნეა მის სახელს უკავშირდება საქართველოში მთელი რიგი გასტრო-ენტეროლოგიური ნოზოლოგიების დიაგნოსტიკური მიგნების დანერგვა, უიშვიათესი დაავადებების დიაგნოსტიკა. მან 40-მდე უიშვიათესი დაავადება ამოიცნო, მათგან ზოგიერთი პირველად არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოეთშიც. რუსმა კლინიკურმა იმუნოლოგებმა გაკვირვებულებმა, ირონიულად კითხეს პაციენტებს: დიაგნოზი მართლა საქართველოში დაგისვესო? შემდეგ დაადასტურეს და როგორც საკუთარი მიგნება-აღმოჩენა ისე გამოაქვეყნეს.

მისი დამსახურებაა რამდენიმე გასტრო-ენტეროლოგიური პათოლოგიის, როგორც დიაგნოსტიკური, ისე მართვის პრინციპის დანერგვა. ბატონ ხუტას საექიმო მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მისი მეგობარი პროფესორი ნათელა ბასიშვილი იგონებდა: „ჩემი პაციენტი გახლდათ, ნაკლებად ცნობილი ქართველი მწერალი, რომელთანაც საკონსულტაციოდ მოვიწვიე ბატონი ხუტა. პაციენტი, რომ წარვუდგინე, გაიღიმა და დაიწყო მისი ნაწარმოებების ჩამოთვლა. მწერალმა გაბრწყინებული სახით შეხედა მას. სულ მაინტერესებდა, თუ არსებობდა ისეთი მწერალი, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი, ვის შემოქმედებასაც იგი არ იცნობდა“.

ბატონ ხუტას დიდი წვლილი მიუძღვის დიდი ქართველი ექიმების, (ზოგიერთი დაუმსახურებლად მივიწყებული) პროფესიული ბიოგრაფიის შესწავლასა და გამოქვეყნებაში. ბატონი ხუტა, როგორც ექიმი, ყალიბდებოდა დიდი კლინიცისტების გვერდით — კონსტანტინე ვირსალაძე, ბაადურ რაჭველიშვილი, ნინო პეტრიაშვილი, ნინო ბარნაბიშვილი, გიორგი მხეიძე და სხვ. მის სახელს უკავშირდება საქართველოში მთელი რიგი გასტრო-ენტეროლოგიური ნოზოლოგიების დიაგნოსტიკური მიგნების დანერგვა. როდესაც ხუტამ უიშვიათესი დაავადების დიაგნოზი დასვა, გამახსენდა პროფესორ ვახტანგ მეუნარგიას სიტყვები: „მას აქვს რაღაც ისეთი, რასაც ქვია დიდი ექიმობა“!..

მას ძლიერ უყვარდა კლასიკური და ქართული ხალხური მუსიკა. იყო როგორც ქართული, ისე უცხოური ლიტერატურის და პოეზიის თაყვანისმცემელი. დიდად აფასებდა ტერენტი გრანელის შემოქმედებას: გამორჩეულ უცხოელ მწერალთა და მოაზროვნე პიროვნებათა ბიოგრაფიები ისე აშკარად არ იკვეთება ტერენტი გრანელთან, როგორც დანიელი თეოლოგის, ფილოსოფოსისა და მწერლის სიერენ კირკეგორის ცხოვრებისეულ თავგადასავლებსა და განცდებში, — წერდა ბატონი ხუტა 2015 წელს.

ბატონი ხუტა აკაკის ძე პაჭკორია დაიბადა ქ. ზუგდიდში 1946 წლის 14 აპრილს. 1964-1971 წწ. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. 1975-78 წ.წ. — იმავე ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1972-75 წ.წ. ბატონი ხუტა მუშაობდა წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიას ამბულატორიის მთავარ ექიმად. 1978-2000 წლამდე იგი გახლდათ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სუბორდინატორთა ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის ასისტენტი. 2000 წლიდან მუშაობდა აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის (რესპუბლიკური საავადმყოფო) შინაგან სნეულებათა დეპარტამენტის გასტროენტეროლოგად. ბატონი ხუტა პაჭკორია გახლავთ 180-მდე სამეცნიერო ნაშრომის, აქედან 9 მონოგრაფიის ავტორი გასტრო-ენტეროლოგიასა და შინაგან მედიცინაში. 1997 წლიდან იყო მედიცინის ისტორიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის და ინტერნისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი. 1992 წელს დაჯილდოვდა გრიგოლ მუხაძის საიუბილეო მედლით. 2002 წლიდან იყო ჟურნალ „შინაგანი მედიცინა და კარდიოლოგია XXI“ — სარედაქციო კოლეგიის წევრი, სადაც გამორჩეულად და აქტიურად მოღვაწეობდა, 2009 წლიდან იყო კოლხეთის (ფაზისის) აკადემიის წევრი. 2023 წელს კოლხეთის აკადემიამ ბატონი ხუტა დააჯილდოვა სიგელით, მეცნიერებაში გაწეული ღვაწლისთვის.

მეგობრები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ და ვუსამძიმრებთ ნათესავებს, სამედიცინო საზოგადოებას და კოლხეთის აკადემიის წევრებს სასიქადულო მამულიშვილის ბატონი ხუტა პაჭკორიას გარდაცვალების გამო.

ღმერთო, ნათელში ამყოფე ვალმოხდილი მამულიშვილის, დიდი მკურნალის უმწიკვლო სული!

მეგობრების სახელით

**მამანტი როგავა**

# ქართველ ჟურნალისტთა აღიარება

**ევროპის მაუწყებელთა კავშირის ახალი ამხების ასამბლეაზე, პირველი არხის გენერალური დირექტორი თინათინ ბერძენიშვილი ევროპის მაუწყებელთა კავშირის „საამაყო წევრად“ დასახელდა.**




თინათინ ბერძენიშვილი ევროპის მაუწყებელთა კავშირის რამდენიმე კომიტეტის წევრია, მათ შორის, არის გენდერული თანასწორობის ჯგუფის ხელმძღვანელი, მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა გენდერული თანასწორობის გზამკვლევი, რომელზეც 11 ქვეყნის წარმომადგენლისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი მუშაობდა. საქართველოს პირველი არხის ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის დირექტორი გიორგი გვიმრაძე ევროპის მაუწყებელთა კავშირის ახალი ამბების კომიტეტის წევრად აირჩიეს. გადაწყვეტილება ევროპის მაუწყებელთა კავშირის ახალი ამბების ასამბლეაზე მიიღეს, რომელიც 22-23 ნოემბერს თბილისში გაიმართა. ახალი ამბების ასამბლეა მასშტაბითა და მნიშვნელობით ევროპის მაუწყებელთა კავშირის განსაკუთრებული ღონისძიებაა, რომელიც ყოველწლიურად ტარდება.

# რუსეთის საზღვარზე გაფიცვის გამო ცხინვალი შეიძლება სურსათის და მედიკამენტების გარეშე დარჩეს

ე.წ. სამხრეთ ოსეთის და ჩრდილოეთ ოსეთის საზღვარზე (საქართველო-რუსეთის საზღვარზე), ზარამაგის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე ბროკერების გაფიცვის გამო, რომლებიც საბაჟო საბუთებს აფორმებენ, ოკუპირებული რეგიონი შეიძლება სურსათისა და მედიკამენტების გარეშე დარჩეს.

**„23 ნოემბრიდან 15 დღით ვწყვეტთ სამხრეთ ოსეთში შესატანი ტვირთების გაფორმებას ჩრდილოეთ კავკასიის საბაჟო სამმართველოდან ადმინისტრაციული ზეწოლის გამო“. ერთ-ერთი ბროკერის ამ განცხადებას ოსი ბიზნესმენები სოციალურ ქსელებში ავრცელებენ.**

ბროკერები ამბობენ, რომ ახალი წესების მიხედვით თითოეულ ტვირთს ახლა ჩრდილოეთ კავკასიის საბაჟო სამმართველო ამოწმებს, რაც ბროკერებისთვის მიუღებელია. ისინი ამბობენ, რომ ვიდრე ეს საკითხი არ მოგვარდება, ცხინვალის მიმართულებით არც ერთი ტვირთის გაფორმება არ მოხდება. ასევე ოქტომბრიდან რუსეთმა ე.წ. სამხრეთ ოსეთში შესატან ტვირთებზე საბაჟო გადასახადი დააწესა.

## სიფრთხილეს თავი არ სტკივა!

# „მკვლელი“ გამათბობლები

## რა უნდა ვიცოდეთ, ჩვენც რომ გადავრჩეთ და მეზობლებიც?

**აციებასთან ერთად გაზის გამათბობლების ჩართვის სეზონი დაიწყო.** გაზის გაჟონვის ან აფეთქების გამო საქართველოში ყოველწლიურად რამდენიმე უბედური შემთხვევა ხდება. ბოლო 3 წლის განმავლობაში თბილისში CO-თი მოწამვლით 8 ადამიანი გარდაიცვალა. და ეს ვითარების გაუმჯობესებად ითვლება.

**„წინა წლებთან შედარებით, ბოლო 2-3 წელია, მშვიდი ზამთარი მივიღეთ. რა თქმა უნდა, ინციდენტები იყო და ნამდვილად ვერ დავმშვიდდებით, ვერ ვიტყვით, რომ ყველაფერი მოწესრიგდა, მაგრამ საშიში მდგომარეობა, ფაქტობრივად, აღარ გვაქვს,** – ამბობს ენერგოომბუდსმენი **სალომე ვარდიაშვილი, – „განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა დედაქალაქში იყო, კომპანიამ, რასაც ჰქვია, მუხლჩაუხრელად იმუშავა იმისთვის, რომ „მკვლელი დანადგარები“, რომელიც თითქმის ყველა ოჯახს ჰქონდა, ფაქტობრივად, 95 %-ით მაინც ამოეღო... უნდა შევთანხმდეთ, რომ როდესაც დანადგარი სახლიდან გავიტანეთ, დაუშვებელია, ის საკუთარი ნებით უკან დავაბრუნოთ“.**





„თბილისი ენერჯის“ ინფორმაციით, წელს გაზის 250 000-ზე მეტი მომხმარებელი გადაამოწმეს, დარღვევები აღმოაჩინეს მხოლოდ მომხმარებელთა 5 პროცენტში.

„რადიო თავისუფლებამ“ უსაფრთხოების ექსპერტებთან კონსულტაციით თავი მოუყარა ყველა იმ რჩევას, რომელთა დაცვაც უბედური შემთხვევებს აგაცილებთ თავიდან.

### მაშ ასე, რა უნდა გაითვალისწინოთ, თუ გაზით გამათბობელს იყენებთ?

- **პირველი და მთავარი, არ დააყენოთ ბინაში კუსტარული გამათბობელი აპარატები.**
- **უარი თქვით ღიაკამერიან გამათბობლებზე, მათი მეშვეობით CO ოთახში გროვდება და იწამლებით.**
- **გაზის გამათბობელი, თუნდაც ქარხნული და ხარისხიანი, თქვენს საცხოვრებელ ფართს უნდა მოერგოს. ყველანაირი აპარატი არ გამოგადგებათ.**
- **დააყენებინეთ გამათბობელი სპეციალისტს.**
- **დააყენეთ სახლში დეტექტორიც, რომელიც გაზის გაჟონვას შეგატყობინებთ. ისიც სპეციალისტმა, კომპანიამ უნდა დააყენოს.**
- **თუ გაზის ქსელი გათიშულია, თვითნებურად ნუ ჩართავთ.**
- **არ შეიძლება გაზის ქსელის და გაზზე მომუშავე დანადგარების დამონტაჟება სარდაფებში ან სხვა ისეთ სივრცეში, რომელიც არ ნიავდება.**
- **გაანიავეთ ოთახები დღეში რამდენჯერმე.**
- **ეცადეთ ფანჯარა ოდნავ მაინც ყოველთვის გამოღებული გქონდეთ, ეს მოწამვლისგანაც გიხსნით და აფეთქებისგანაც.**
- **არ დააერთოთ გამათბობლის ან წყლის გამაცხელებლის გამწოვი მილი კორპუსის სავენტილაციო არხზე, ამით მეზობლებს შეუქმნით საფრთხეს.**
- **თავზე დაადექით ყავას... და სხვა ყველაფერსაც, რასაც გაზზე ამზადებთ. ყავა შეიძლება გადმოვიდეს და ცეცხლი ჩააქროს, ამის შემდეგ ბუნებრივი აირი ოთახში დაგროვდება.**
- **თუ სახლიდან გადიხართ, გადაკეტეთ გაზის ონკანები. „თბილისი ენერჯი“ ირწმუნება, რომ ხშირია შემთხვევა, როცა ბინაში გაჟონილი გაზი კორპუსს საფრთხეს უქმნის, ამ დროს კი ბინის მეპატრონე რამდენიმე დღით არის ქალაქიდან გასული.**
- **თუ დიდი ხნით გადიხართ სახლიდან, შეგიძლიათ გაზის კომპანიას დაურეკოთ და მოითხოვოთ, გაზის მიწოდება დროებით შეგიწყვიტონ.**
- **სანამ ზამთარში გამათბობელს ჩართავთ, გაზგაყვანილობა შეამოწმებინეთ. ეს მომსახურება „თბილისი ენერჯის“ აბონენტებისთვის უფასოა. დარეკეთ ცხელ ხაზზე: 2 40 40 04.**
- **შეამოწმებინეთ გაზის ქსელი მაშინაც, როდესაც სახლს ან ოფისს ქირაობთ. „თბილისი ენერჯის“ მონაცემებით, CO-თი მოწამვლისა თუ სიკვდილის 70% დაქირავებულ და დაგირავებულ ბინებში ხდება, რადგან მეპატრონეები გასაქირავებელ ბინებზე ფულს ზოგავენ და იქ იაფფასიან გაზის დანადგარებს ამონტაჟებენ.**
- **რემონტის დროს ყურადღება მიაქციეთ ხელოსნებს. ისინი ხშირად აზიანებენ გაზის შიდა ქსელს.**
- **თუ გრძნობთ გაზის სუნს: არ აანთოთ გაზი, არც ნათურა, გამოაღეთ ფანჯარა, გადაკეტეთ გაზი, დატოვეთ შენობა და დარეკეთ – თუ „თბილისი ენერჯის“ მომხმარებელი ხართ 114-ში, თუ „სოკარ ჯორჯიის“ – 16 114 ან, ზოგადად 112-ზე და შეატყობინეთ გაზის გაჟონვის შესახებ.**

**თეა თოფურია**



# „ცხოვრება მშვენიერია“ AL BANO-სთან ერთად!

**24 ნოემბერს, 20:00 საათზე, საქველმოქმედო ფონდ „ცხოვრება მშვენიერიას“ 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით, თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში ყველა თაობის საყვარელი და ლეგენდარული იტალიელი მომღერლის AL BANO-ს სოლო კონცერტი გაიმართება, რომელიც პირველად წარდგება ქართველი მსმენელის წინაშე.**

უტყუარი ხმა, ფართო დიაპაზონი და სრულყოფილი ინტონაცია – ასე მოკლედ შეიძლება შეფასდეს ალ ბანო კარისის შესაძლებლობები, რომელიც მუსიკალურ ასპარეზზე ჯერ კიდევ წინა საუკუნის 70-იან წლებში გამოვიდა. 1967 წელს მან ჩაწერა მისი ერთ-ერთი ცნობილი სიმღერა, Nel sole, რომელიც დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს მის თაყვანისმცემლებში. რეკორდულმა წარმატებამაც არ დააყოვნა: გაიყიდა მილიონ სამასი ათასი ასლი. იმავე წელს ალბანომ მონაწილეობა მიიღო Rolling Stones-ის იტალიურ ტურნეში. AL BANO-ს ალბომები, მუდმივად იყო ჩარტების ლიდერი ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: ავსტრია, საფრანგეთი, ბელგია, შვეიცარია, გერმანია, ესპანეთი და სამხრეთ ამერიკა. მისი მსოფლიო აღიარება და წარმატება აისახა დამსახურებული ჯილდოებითაც, 26 ოქროს და 8 პლატინის ჩანაწერი. 1980 წელს მან მოიპოვა Kawakami Award ტოკიოში (იამაჰას პოპ ფესტივალზე). 1982 წელს გერმანიაში მიიღო ოქროს ევროპის ჯილდო, რომელიც გადაეცემა ყველაზე მეტი ჩანაწერის გაყიდულ არტისტს. 1982 წელს ალ ბანომ აბსოლუტური რეკორდი დაამყარა იტალიაში, ჩარტებში ერთდროულად ოთხი სიმღერით. 1984 წელს მან გაიმარჯვა სანრემოს ფესტივალზე სიმღერით „There will be“, მეუღლესთან რომინა პაუერთან ერთად.

# მსოფლიოში უმდიდრესი ადამიანი ალიმენტების გადახდაში წუწკობს



**ილონ მასკმა მომღერალ გრაიმსთან 3 საერთო შვილის მეურვეობის საქმის განხილვა ტეხასის შტატში მოითხოვა. მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი მიიჩნევს, რომ მისი ყოფილი პარტნიორი მათ ორ საერთო შვილთან – ვაჟთან ტექნო მექანიკუსთან და ქალიშვილ ეკზა დარკ საიდერილთან 2023 წელს კალიფორნიაში იმ მიზნით გადავიდა საცხოვრებლად, რომ სასამართლო პროცესი სწორედ იქ ჩატარდეს. წყვილის მეორე ვაჟი, ექს ეშ ეი-ტველვი მასკთან ერთად ტეხასში დარჩა.**

ტეხასის კანონმდებლობით, 3 ბავშვზე ალიმენტების მაქსიმალური თანხა თვეში 2 760 დოლარით არის განსაზღვრული, კალიფორნიაში კი სასამართლოს ნებისმიერი თანხის დანიშვნა შეუძლია. სწორედ ამიტომ სურს მასკს საქმის ტეხასში განხილვა. თუმცა, მილიარდერი აცხადებს, რომ მისი შვილების მშობლიური შტატი სწორედ ტეხასია.

მასკმა გრაიმსს სასამართლოში სექტემბერში უჩივლა და მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობების ოფიციალური დადგენა მოითხოვა. რამდენიმე კვირაში ანალოგიური საპასუხო სარჩელი გრაიმსმაც შეიტანა, მაგრამ უკვე კალიფორნიაში. მანამდე მომღერალი ამბობდა, რომ მასკი მას შვილების ნახვის უფლებას არ აძლევს.

# „ჯეიმს ვებმა“ ირმის ნახტომის ცენტრშიც შეაღწია

**NASA-მ ტელესკოპ „ჯეიმს ვების“ მიერ გადაღებული ირმის ნახტომის ცენტრის ახალი ფოტო წარადგინა. ტელესკოპის ადამიანისთვის უხილავმა ინფრაწითელმა აღჭურვილობამ, რეგიონის აქამდე არნახული დეტალები დააფიქსირა.**

კერძოდ, ასტრონომებმა „ვების“ მეშვეობით ვარსკვლავების ფორმირების აქტიური რეგიონი შეისწავლეს, რომელიც ჩვენი გალაქტიკის ცენტრალური სუპერმასიური შავი ხვრელიდან 300 სინათლის წელიწადის მანძილზე მდებარეობს. ფოტოზე დაახლოებით 500 ათასი ვარსკვლავია გამოსახული. მათ შორის არის პროტოვარსკვლავები და მტვრისა და გაზის მასები, რომლებიდანაც ვარსკვლავები წამოიშვება. კლასტერის ცენტრში არსებული პროტოვარსკლავის მასა კი მზისას 30-ჯერ აღემატება.

# ვიზიტორთა რაოდენობამ 1 მილიონს გადააჭარბა




**2023 წლის 10 თვეში, საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობამ გასული წლის ანალოგიურ პერიოდს 19%-ით გადააჭარბა. საქართველოს დაცულმა ტერიტორიებმა 1 015 024 ვიზიტორს უმასპინძლა. გასულ წელთან შედარებით, 29%-ით არის გაზრდილი უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობაც. 2023 წელს დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა შორის 58% ( 589 841 ვიზიტორი) სხვა ქვეყნის მოქალაქეა.**

2023 წელს ყველაზე მეტი ვიზიტორი ესტუმრა: მარტვილის კანიონს, პრომეთეს მღვიმეს, მტირალას ეროვნულ პარკს, სათაფლიას, წალკის კანიონს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რეკორდული რაოდენობა 2019 წელს, დაფიქსირდა. მიმდინარე წლის 10 თვეში, 2019 წლის მონაცემები 90%-ით არის აღდგენილი.

# ყველაზე სექსუალური მელოტი...



**წლის ყველაზე სექსუალური მამაკაცების რეიტინგში პირველი ადგილი დიდი ბრიტანეთის პრინცმა უილიამმა დაიკავა.**

სია მარკეტინგულმა კომპანია Reboot-მა შეადგინა და დაეყრდნო საძიებო კითხვების სიხშირეს, როდესაც ცნობილ მელოტი კაცების სახელებთან ერთად სიტყვებს – შიშველი და მაისურის გარეშე იყენებდნენ. შარშან ამ რეიტინგის გამარჯვებული მსახიობი ვინ დიზელი გახდა.

# სამხრეთკორეელი მომღერლები ბრიტანეთის ორდენოსნები გახდნენ



**ცნობილი სამხრეთკორეული კეი-პოპ ჯგუფის Blackpink წევრებმა ბრიტანეთის იმპერიის ორდენის მფლობელების საპატიო წოდება მიიღეს.**

ჯილდოები როზანა პაკს, ჯენი კიმს, ჯისუ კიმსა და ლალისა მანობანს დიდი ბრიტანეთის მეფემ, ჩარლზ მესამემ გადასცა. ეს სამხრეთ კორეის პრეზიდენტის იუნ სუკ იოლის ბრიტანეთში სახელმწიფო ვიზიტის დროს მოხდა. დაჯილდოების ცერემონია ბუკინგემის სასახლეში გაიმართა. მომღერლების დაჯილდოების მიზეზი კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში მათი ჩართულობა გახდა. Blackpink-ის წევრები კლიმატის ცვლილების საკითხებზე სამიტზე ცცც ელჩები იყვნენ და მხარს უჭერდნენ გაეროს მიზნებს მდგრადი განვითარების სფეროში.

ეკოლოგიური პროექტების მხარდაჭერით ჩარლზ მესამეც არის ცნობილი. როგორც მონარქმა აღნიშნა, ის მომღერლებს ამ საკითხით დაინტერესების გამო პატივს სცემს. მანამდე მომღერლებმა ბუკინგემის სასახლეში გამართულ სახელმწიფო ბანკეტზეც დაპატიჟებს.

# ლურჯი ვეშაპები სეიშელის კუნძულებზე დაბრუნდნენ...

**მსოფლიოს ყველაზე დიდი ცხოველები – ლურჯი ვეშაპები ინდოეთის ოკეანის იმ ნაწილში ბრუნდებიან, სადაც მათი პოპულაცია ნადირობის შედეგად სრულად განადგურდა.**

საუბარია სეიშელების კუნძულებზე, სადაც სპეციალისტებმა წყალქვეშა აუდიომონიტორინგის დახმარებით დაადგინეს, რომ ვეშაპები რეგიონში თვეების განმავლობაში რჩებიან. მათი ვარაუდით, ცხოველები ამ ადგილს გასამრავლებლად იყენებენ. მისიაში ჩართული მეცნიერები ამბობენ, რომ ეს კონსერვაციონისტების გამარჯვებაა, რადგან 1960-იან წლებში საბჭოთა კავშირის ვეშაპებზე მონადირე ფლოტმა სეიშელებზე ამ ცხოველების პოპულაცია სრულად გაანადგურა. ამის მიუხედავად, ლურჯი ვეშაპები გადაშენების ზღვარზე მყოფ ცხოველებად ითვლებიან. მათი რაოდენობა დედამიწაზე კატასტროფულად მცირეა.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 — ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 27 ნოემბერს**

## უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.7122; ევრო - 2.9558;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3965;
100 რუბლი - 3.0721; თურქული ლირა - 0.0941;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5940;
1000 სომხური დრამი - 6.7670

## ამინდი 24 ნოემბრისთვის

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +2, | დღე +14 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -2, | დღე +9 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +5, | დღე +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | 0, | დღე +11 |
| თბილისი: | ღამე | +6, | დღე +12 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge